პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ხუთშაბათი 26 აგვისტო № 200 (16630) ფასი 2 კაპ. 1976

## დავალება შესრულებულია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

[illegible]

მეთაური, პოლკოვნიკი ვოლინოვი,
ბორტინჟინერი, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი ჟოლობოვი.



სურათზე: ბ. ვოლინოვი (მარცხნივ) და ვ. ჟოლობოვი მშობლიურ დედამიწაზე.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მეათე—ხუთწლედის, ეფექტიანობის—ხუთწლედი

საქართველოს მრეწველობის მუშაკთა ნობათი

## რვა თვის გეგმა —ვადამდე

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადაზე ადრე, 25 აგვისტოს შეასრულეს უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების 1976 წლის იანვარ-აგვისტოს გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი: ქ. თბილისში — „ელექტროაპარატის" საწარმოო გაერთიანების, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, სამოდელო ფეხსაცმლის, № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ორჯონიკიძის სახელობის, „ნადიკვრის", „ამირანის", პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების, საწარმოო გაერთიანება „თბილისღვინოს", კონიაკის კომბინატის, შამპანური ღვინოების სამრეწველო გაერთიანების, ჩაის საწონი ფაბრიკის, ცხიმის კომბინატის კოლექტივებმა; ქ. ქუთაისში — საავტომობილო ქარხნის, ლითოფონის ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, ბამბეულის გაერთიანების, ს. მ. კიროვის სახელობისა და „გელათის" სამკერვალო გაერთიანებათა კოლექტივებმა; ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქ. ბათუმის საწარმოო სამკერვალო გაერთიანებისა და ს. მ. კიროვის სახელობის ტყავსაწარმოო გაერთიანების, ჭიათურის სამთამადნო კომბინატის, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის კოლექტივებმა. (საქინფორმი).

ქალაქ თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, 25 აგვისტოს გაანაღდეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების 1976 წლის იანვარ-აგვისტოს გეგმა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი კოლექტივებმა: საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატმა", ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ, სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკამ, № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკამ, ორჯონიკიძის სახელობისა და პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკებმა, საწარმოო გაერთიანება „თბილისღვინომ", კონიაკის კომბინატმა, შამპანური ღვინის სამრეწველო გაერთიანებამ, ჩაის საწონმა ფაბრიკამ და სხვ. (საქინფორმი).

კავშირის ცნობა

## „სალუტ-5" სადგურის ეკიპაჟი დედამიწაზეა

1976 წლის 24 აგვისტოს მოსკოვის დროით 21 საათსა და 33 წუთზე „სალუტ-5" პილოტირებულ სამეცნიერო სადგურში კვლევის 48-დღიანი პროგრამის შესრულების შემდეგ დედამიწაზე დაბრუნდნენ კოსმონავტები ამხანაგები ბორის ვალენტინის-ძე ვოლინოვი და ვიტალი მიხეილის-ძე ჟოლობოვი. „სოიუზ-21" სატრანსპორტო ხომალდის დასაშვები აპარატი დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში ქალაქ კოქჩეტავის სამხრეთ-დასავლეთით ორას კილომეტრზე. კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

სადგურში სამუშაოთა დასახული პროგრამის დამთავრების შემდეგ ეკიპაჟმა სატრანსპორტო ხომალდი „სოიუზ-21" მოამზადა განპირაპირებისა და დედამიწაზე დაშვებისათვის. დასაშვებ აპარატში გადაიტანეს მეცნიერული კვლევის მასალები.

მოსკოვის დროით 18 საათსა და 12 წუთზე ხომალდი და სადგური განპირაპირდნენ, შემდეგ ჩაირთო ხომალდის სამუხრუჭო ძრავა. ძრავის მუშაობის დამთავრებისთანავე გამოიყო „სოიუზ-21" სატრანსპორტო ხომალდის ნაკვეთურები და აპარატი გადავიდა დაშვების ტრაექტორიაზე.

გათვალისწინებულ სიმაღლეზე ამოქმედდა საპარაშუტო სისტემა და დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა.

ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის პროცესში „სალუტ-5" ორბიტული სამეცნიერო სადგურიდან მიღებულია ვრცელი და საყურადღებო სამეცნიერო ინფორმაცია დედამიწისა და მზის ატმოსფეროს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ. დიდი ყურადღება დაეთმო მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ინტერესებისათვის დედამიწის ზედაპირის კვლევას. კომპლექსური გადაღება საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ვრცელ რაიონებში წარმოებდა.

ფრენის პროგრამის დამოუკიდებელი ნაწილი იყო უწონობის პირობებში სხვადასხვა ფიზიკური პროცესების მიმდინარეობის კვლევა და ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარება. ფრენის დროს წარმატებით მიმდინარეობდა კოსმოსური ხომალდებისა და ორბიტული სადგურების ახალი სისტემებისა და ხელსაწყოების დახვეწა. კომპლექსურად იკვლევდნენ ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის ფაქტორების მოქმედებაზე ადამიანის ორგანიზმის რეაგირებას.

მთელი ფრენის განმავლობაში „სოიუზ-21" კოსმოსურ ხომალდთან და „სალუტ-5" ორბიტულ სადგურთან კავშირს საიმედოდ უზრუნველყოფდა დედამიწის საკომანდო-საზომი კომპლექსი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გემები „კოსმონავტი იური გაგარინი", „აკადემიკოსი სერგი კოროლიოვი", „ბეჟიცა", „ნეველი", რომლებიც ატლანტის ოკეანის აკვატორიაში იმყოფებოდა.

„სალუტ-5" სადგური განაგრძობს მართულ ფრენას ავტომატური რეჟიმით. სადგურის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

## დროზე გადავცეთ საექსპლოატაციოდ ასამოქმედებელი მშენებლობები

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იმსჯელა რესპუბლიკის მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ასამოქმედებელი ობიექტების მშენებლობის მდგომარეობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.**

ამ საკითხის გამო მიღებულ დადგენილებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ორგანოები, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროები, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენი" გარკვეულ მუშაობას ეწევიან, რათა მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ობიექტებზე ეფექტიანად გამოიყენონ კაპიტალური დაბანდებები.

მიმდინარე წლის ექვსი თვის მანძილზე ამოქმედდა ოჩამჩირის, ჩოხატაურისა და ნატანების ჩაის ფაბრიკების 5,8 ათასი ტონა ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი დამატებითი სიმძლავრეები, აბაშის მინერალური სასუქის საწყობი, ლაგოდეხის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის სათბურები, რომელთა ფართობი 10 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. მთლიანად კვების მრეწველობის მშენებლობებზე შესრულდა ძირითადი ფონდების ამოქმედების, კაპიტალური დაბანდებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დავალებები. წარმატებით სრულდება ნაკისრი ვალდებულებები, რომ ვადამდე ამოქმედდეს სურამის მინის ტარის ქარხნის ასამუშავებელი კომპლექსი, რომლის წლიური სიმძლავრე 50 მილიონ ბოთლს შეადგენს, და ორი ათასი ტონა ტევადობის მაცივარი.

ამასთანავე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია აღენიშნა, რომ სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ საწარმოთა მშენებლობაზე ჯერ კიდევ არ განხორციელებულა გადამწყვეტი ღონისძიებები გეგმების სისტემატური შესრულებისათვის. მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში 1973 წლიდან ვერ ითვისებენ კაპიტალურ დაბანდებებს. მდგომარეობა არც წლეულს გაუმჯობესდა, ექვს თვეში ძირითადი ფონდების მხოლოდ 56 პროცენტი ამოქმედდა, კაპიტალური დაბანდება სულ 71 პროცენტით არის ათვისებული, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა ნახევარ წელიწადში 86 პროცენტით გაიზარდა.

ყოვლად დაუშვებელი მდგომარეობა შეიქმნა თბილისის კამვოლ-მაუდისა და სამკერვალო-სატრიკოტაჟო კომბინატების მშენებლობაზე, რომელთა ამოქმედებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის.

კამვოლ-მაუდის კომბინატში, რომლის სიმძლავრეთა ამოქმედება 1977 წელს არის გათვალისწინებული, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტმა ექვს თვეში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მხოლოდ 74 პროცენტი შეასრულა. მშენებლობაზე არ არის სამუშაოთა ზუსტი ორგანიზაცია, ფერხდება მასალების მომარაგება, ცდება სამუშაო დრო და მექანიზმები.

მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა სამკერვალო-სატრიკოტაჟო კომბინატის მშენებლობაზე. იმის გამო, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ დროზე არ გადაწყვიტა ტექნიკური საკითხები, სამღებრო-პირგამოსაყვან კორპუსში გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა მხოლოდ 60 პროცენტია შესრულებული.

№ 3 ტრესტს არ შეუსრულებია თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის რეკონსტრუქციის დავალებები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წლის დამლევამდე ამ ობიექტებზე ავითვისოთ მთელი გამოყოფილი კაპიტალური დაბანდება. „სპეცმშენის" ტრესტი აგვიანებს ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ტექნიკური წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის სამუშაოებს, № 9 ტრესტი კი აყოვნებს ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებას ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკასა და გორის ბამბეულის კომბინატში. მთლიანად, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებმა მსუბუქი მრეწველობის მშენებლობებზე წლევანდელი წლის ექვსი თვის დავალება 75 პროცენტით შეასრულეს. ნელი ტემპით ეწევა საკუთარი ძალებით სამუშაოებს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო შულავერის თექისა და ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკებში.

კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შესრულდა მშენებლობის გეგმები, მაგრამ მაინც ჩამორჩება კაპიტალური დაბანდების ათვისება და დაფინანსების ცენტრალიზებული წყაროებით მიმდინარე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება; დაუმთავრებელი მშენებლობა დარგში 45 პროცენტით გაიზარდა 1975 წლის დამლევისათვის მიღწეულ დონესთან შედარებით.

შემაშფოთებელი მდგომარეობა შეიქმნა თბილისის შამპანური ღვინის ქარხნის ასამოქმედებელ სიმძლავრეთა მშენებლობაზე. ექვსი თვის მანძილზე კვების მრეწველობის სამინისტროს „კვებმრეწმშენის" ტრესტმა 1976 წლისათვის დაგეგმილ სამუშაოთა მხოლოდ 18 პროცენტი შეასრულა. სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტმა ლანჩხუთის საკონსერვო ქარხნის 700 ტონა ტევადობის მაცივრის მშენებლობაზე, რომელიც მესამე კვარტალში უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ, წლის პირველი ნახევრის დავალებები 55 პროცენტით შეასრულა.

სახარბიელო მდგომარეობა არ არის რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ობიექტებზე. აქ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ექვსი თვის გეგმა 92 პროცენტით შესრულდა. მრავალმა მითითებამ შედეგი არ გამოიღო, ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს გარდატეხას წნორის საცდელი მეცხოველეობის კომპლექსის მშენებლობაზე, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემა წლეულს, წლის მეოთხე კვარტალშია გათვალისწინებული. სასოფლო მშენებლობის № 4 ტრესტმა წლის პირველი ნახევრისათვის გამოყოფილი სახსრების მხოლოდ 52 პროცენტი აითვისა. მშენებლობაზე უბნებს შორის არ არის ურთიერთმოქმედება, შეფერხებით ამარაგებენ მას მასალებით, განსაკუთრებით ინერტული მასალებით, არ ჰყოფნით ავტოტრანსპორტი, არ დაწყებულა საგზაო სამუშაოები.

ამ დიდმნიშვნელოვანი მშენებლობისადმი შეუწყნარებელ დამოკიდებულებას იჩენს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო. აღნიშნული კომპლექსის სარწყავი სისტემების მშენებლობაზე მთლიანად ვერ აითვისეს 1,2 მილიონი მანეთი.

არსებითად უნდა გააუმჯობესონ მუშაობა შემკვეთებმა მსუბუქი და კვების მრეწველობის მშენებლობებზე კაპიტალური დაბანდების ეფექტიანი გამოყენებისათვის.

დადგენილებაში აღნიშნულია რესპუბლიკის მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობაში არსებული ბევრი სხვა ნაკლიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო, ქალაქ თბილისის ლენინის, სიღნაღის, ლანჩხუთის, მახარაძის რაიონული კომიტეტები ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენენ სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და შემკვეთებისადმი დადგენილი გეგმების შესრულებისა და ამ ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების დროზე გადაწყვეტისათვის.

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ყველა ასამუშავებელი ობიექტის უთუოდ ამოქმედების უზრუნველსაყოფად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა:

საქართველოს სსრ მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მკაცრი კონტროლი დააწესონ მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ობიექტების მშენებლობას, სისტემატურად განიხილონ კოლეგიის სხდომებზე ამ მშენებლობათა სამუშაოების მიმდინარეობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა აღნიშნულ სამინისტროებს ადგილობრივი პარტიული ორგანოების მონაწილეობით განიხილონ 1976 წელს ასამუშავებელ მშენებლობათა მდგომარეობა და უზრუნველყონ მათი დროული ამოქმედება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გააფრთხილა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „სპეცმშენის" № 3 და № 9 ტრესტების, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 და № 4 ტრესტების, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „კვებმრეწმშენის" მმართველები, რომ მათ პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ობიექტებზე არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მათი ჩამორჩენისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს დაუყოვნებლივ შეუდგეს წნორის მეცხოველეობის კომპლექსში გზების მშენებლობის სამუშაოებს, ხოლო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს ამ კომპლექსში ტვირთის მიტანის გეგმების უთუოდ შესრულება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კვების, მსუბუქი, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების, მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მთავარმომარაგების ხელმძღვანელ მუშაკებს ყველაფერი იღონონ დადგენილებაში აღნიშნულ სხვა ნაკლოვანებათა აღსაკვეთად.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან განახორციელონ ღონისძიებები მშენებლობათა და საწარმოთა კოლექტივებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად, რათა გაუმჯობესდეს მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ობიექტების მშენებლობა, ამაღლდეს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა კაპიტალური დაბანდების ათვისების დადგენილი გეგმების შესრულებისათვის, ძირითადი ფონდების დროულად ამოქმედებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის.

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება ეძლევათ ფართოდ გააშუქონ მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ასამუშავებელი მშენებლობების საქმის ვითარება.

(საქინფორმი).

მივცეთ სამშობლოს 430.000 ტონა ყურძენი!

## საქართველოს მევენახეთა ვალდებულებები

1976 წელს სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ (ტონობით):

| რაიონები | | რაიონები | |
|---|---|---|---|
| გურჯაანის | 84.000 | ამბროლაურის | 2.910 |
| თელავის | 46.940 | წყალტუბოს | 3.000 |
| სიღნაღის | 29.000 | ახალციხის | 40 |
| ყვარლის | 26.000 | ქარელის | 550 |
| ახმეტის | 24.200 | დუშეთის | 1.700 |
| საგარეჯოს | 19.600 | თეთრი წყაროს | 900 |
| ზესტაფონის | 21.000 | სამტრედიის | 1.650 |
| წითელწყაროს | 17.500 | წულუკიძის | 650 |
| თერჯოლის | 17.000 | ჩოხატაურის | 2.800 |
| მარნეულის | 15.875 | ქ. ჭიათურა | 2.170 |
| ვანის | 14.500 | ქ. ტყიბული | 300 |
| მაიაკოვსკის | 14.000 | ონის | 820 |
| ბოლნისის | 9.060 | ცხაკაიას | 960 |
| მცხეთის | 8.760 | გეგეჭკორის | 1.620 |
| გარდაბნის | 8.035 | ზუგდიდის | 1.800 |
| ლაგოდეხის | 8.000 | წალენჯიხის | 1.000 |
| კასპის | 7.500 | ჩხოროწყუს | 1.100 |
| საჩხერის | 5.500 | მახარაძის | 450 |
| ორჯონიკიძის | 5.520 | ლანჩხუთის | 80 |
| ხაშურის | 5.000 | აფხაზეთის ასსრ | 8.650 |
| გორის | 4.460 | აჭარის ასსრ | 1.400 |
| ცაგერის | 4.000 | სამხ. ოსეთის ავტ. ოლქი | 1.000 |

სულ რესპუბლიკაში 430.000

საქართველოს მევენახეთა ამ ვალდებულების შესრულება საქმით პასუხი იქნება კრასნოდარელთა პატრიოტული თაოსნობის ხორცშესხმაში. მართალია, წლევანდელმა მკაცრმა, სუსხიანმა ზამთარმა დიდი ზიანი მიაყენა ზვრებს, მაგრამ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად ნაწილობრივ გამოსწორდა მდგომარეობა და ამოცანა — მივცეთ სამშობლოს 430.000 ტონა ყურძენი — ძალაში რჩება, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ დადებული პირობის შესრულებისათვის.

რთველი კარს მოგვადგა. ყურძენი მწიფდება, ხალხს უთქვამს: რთველი შემოდგომის გვირგვინიაო. ჩვენმა მევენახეებმა ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალება სასახელოდ უნდა შეასრულონ. საჭიროა მზად შევხვდეთ რთველს. ერთხელ კიდევ უნდა შემოწმდეს სრულ წესრიგზე არის თუ არა ღვინის ქარხნებში მანქანა-დანადგარები, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, უსაფრთხოების ტექნიკა, ავტოტრანსპორტი და სხვა ინვენტარი.

ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ წესრიგი დავამყაროთ ყურძნის მიღებისა და შაქრიანობის განსაზღვრაში, შევიმუშაოთ რთვლის მოკლე ვადაში დამთავრების კონკრეტული გეგმა-გრაფიკი.

**ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მევენახეები, ღვინის მრეწველობის მუშაკები წლეულსაც ისახელებენ თავს და სამშობლოს მისცემენ 430.000 ტონა ყურძენს.**



## საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

25 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა მიიღო თბილისში ჩამოსული კონგოს შრომის პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კონგოს სახალხო რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის გენერალური შტაბის პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი კაპიტანი ნიკოლა ოკონგო.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გ. ვ. კოლბინმა დელეგაციის წევრებს გააცნო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, მშრომელების მუშაობა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაცია სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროზე, რომ მას მაღალი შეფასება მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში, რომ პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ახორციელებს ღონისძიებებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

კონგოელ ამხანაგთა თხოვნით გ. ვ. კოლბინმა მათ გაუზიარა მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დარგში პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება.

დელეგაციის ხელმძღვანელმა ნიკოლა ოკონგომ მადლობა გადაიხადა საქართველოს მიწა-წყალზე სტუმართმოყვარული მიღებისათვის. მან ილაპარაკა იმ ბრძოლაზე, რომელსაც კონგოელი ხალხი ეწევა კონგოს შრომის პარტიის ხელმძღვანელობით ეროვნული და სოციალური პროგრესისათვის.

ნ. ოკონგომ განაცხადა, რომ კონგო ესწრაფვის კონგოს შრომის პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, კონგოს სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და სოლიდარობის ურთიერთობის განმტკიცებას.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ა. კიკვიძე. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის მოსამზადებლად

# მომსახურების სფეროში მკვეთრი გარდატეხისათვის

## მშრომელები გვირჩევენ, გვთავაზობენ

[illegible]

იმისათვის, რომ საკითხი საფუძვლიან განხილვამდე ღრმად და ყოველმხრივ იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული, ამასთან, მომავალი გადაწყვეტილებები დამყარებული იყოს ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე და არგუმენტირებულ მასალებზე, რომ ისინი გამსჭვალული იყოს საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის მზრუნველობის სულისკვეთებით, რაც აგრერიგად დამახასიათებელია სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისათვის, — შეიქმნა პლენუმის მოსამზადებელი სპეციალური კომისია.

ამ პრობლემის განხილვაში მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს მიმართა თხოვნით, უშუალო მონაწილეობა მიიღონ პლენუმის სამზადისში თავიანთი სასარგებლო რეკომენდაციებით და საკუთარი წვლილი შეიტანონ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

დაუცხრომელი ძიება, ახალი ფორმებისა და მეთოდების შემუშავება-გამოყენება ამ ბოლო ხანს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშან-თვისება გახდა. ეს მოვლენა აისახა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში — „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“. სწორედ ერთი ასეთი ფორმათაგანია პლენუმის კოლექტიური სამზადისი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მარტო მომსახურების სფეროში დასაქმებულ მუშაკებსა და სპეციალისტებს როდი ჩასწვდათ გულში. მას ცხოველად გამოეხმაურნენ ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. წერილები მოდის საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. იწერებიან სხვადასხვა ეროვნებისა და ასაკის, სხვადასხვა პროფესიისა და განათლების ადამიანები, ომისა და შრომის ვეტერანები, ძველი კომუნისტები და ახალგაზრდა პარტიის წევრები, ის ხალხი, ვისი სახელიც ფართოდ არის ცნობილი რესპუბლიკაში, და რიგითი მშრომელები.

ყველა ამ წერილს გულდასმით სწავლობს, აანალიზებს, და შემდეგ გადასცემს პლენუმს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შექმნილი სპეციალური კომისია.

წერილების ავტორები იწონებენ და მიესალმებიან პლენუმის მომზადების ასეთ პრაქტიკას, ვინაიდან იგი მიზანშეწონილად და სასარგებლოდ მიაჩნიათ. შუახევის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი ს. მიქელაძე და დუშეთის რაიონის მცხოვრები პენსიონერი ვ. ფალავანდიშვილი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პლენუმის სამზადისში აბამს მშრომელთა ფართო მასებს, განზრახული აქვს ერთად მოუყაროს თავი და გამოიყენოს სურვილები და შენიშვნები იმ საკითხებზე, რომლებიც პლენუმმა უნდა გადაწყვიტოს. — პირადად მე მივესალმები ორგანიზაციის ასეთ ფორმას, — იწერება ახალციხიდან 40 წლის პარტიული სტაჟის მქონე კომუნისტი ა. მარკუჩიანი, — ეს მუშაობის ნამდვილად ლენინური სტილია, ნამდვილი პარტიული და საბჭოური დემოკრატიაა. მშრომელთა ფართო მასების აზრის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება, ეჭვილია, სწორი და სამართლიანი იქნება.

„ჩვენ დიდი კმაყოფილება მოგვგვარა იმ ცნობამ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის პლენუმზე განიხილავს მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს, ხაზგასმით აღნიშნავენ კასპის ცემენტის ქარხნის უფროსი მემანქანეები — სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ვ. მანჭულაშვილი და კასპის რაისაბჭოს დეპუტატი ვ. მაისურაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ ბოლო წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, წერენ ამ წერილის ავტორები, საგრძნობლად გაუმჯობესდა შრომისა და დასვენების პირობები. ჩვენს ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კეთილმოწყობილი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. რეკონსტრუირებულია მუშათა სასადილო. ყოველი ჩვენგანი ხედავს,

[illegible]

ქარხნის მუშა ს. ხიდაშელი წერს, რომ უკანასკნელ ხანს მიღწეული წარმატებები მკაფიოდ ჩანს, თანაც, აქვე დასძენს, რომ მომსახურების სფეროს ბევრ მუშაკს ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია წარსულის მანკიერი პრაქტიკა, რომ დასახული ღონისძიებები ხშირად ფორმალურად ხორციელდება, ოღონდ „ვალი მოიხადონ“. ბევრ ობიექტზე ხელმძღვანელობა იცვლება, რიგი მიდის, რიგი მოდის, მდგომარეობა კი თითქმის უცვლელი რჩება.

საგულისხმოა, რომ ბევრი წერილი ერთსა და იმავე აზრს შეიცავს. ავტორები აღნიშნავენ, რომ სულ რამდენიმე წლის წინათ ისინი არც კი მიმართავდნენ ასეთი წერილებით ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოს: არ სჯეროდათ, რომ იქ თავს შეიწუხებდნენ და საქმის არსს ჩასწვდებოდნენ, ახლა კი სჯერათ.

და როცა ისმება საკითხი, თუ რა გზით უნდა წარვმართოთ მეცადინეობა ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო სამსახურში მნიშვნელოვანი გარდატეხის მისაღწევად, როგორ ავამაღლოთ მომსახურების დონე, აღმოვფხვრათ ამ დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები, თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიყვანოთ მთელი მომსახურების სფეროს მუშაობა, მშრომელები უპირველესად კადრების საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას აღნიშნავენ.

„უწინარეს ყოვლისა უნდა გადაისინჯოს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის ყველა რგოლის კადრების შერჩევა-განაწილების საკითხი. და ყველანი, ვინც არ უმართლებს ნდობას ხალხს, უნდა შევცვალოთ საქმის გულშემატკივარი ადამიანებით, ენერგიული და პატიოსანი მუშაკებით, მარჯვე ორგანიზატორებით“ (ნ. ჩუთლაშვილი, თბილისი). „მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს მომსახურების სფეროს კვალიფიციური კადრების მომზადებას, მათთვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნას, ამასთან, განხორციელდეს მატერიალური და მორალური სტიმულირების პრინციპები“ (ს. მიქელაძე, შუახევი); „გავაძლიეროთ კონტროლი, უფრო ეფექტიანი გავხადოთ სარევიზიო შემოწმებები და რეიდები“ (კ. მაისურაძე, სიღნაღის რაიონი სოფელი ჯუგაანი); „უფრო ფართოდ ჩავაბათ მუშები ბაზებში საქონლის მიღება-განაწილების სისწორისადმი კონტროლის საქმეში. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ მომსახურების სფეროს საწარმოთა კოლექტივებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას“ (ეკონომისტი ვ. ქოიავა, სოხუმი).

მომსახურების სფეროში და, კერძოდ, ვაჭრობაში, ქალის შრომის პრიორიტეტი ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე. ამ თემას ისევ ეხებიან ბევრ წერილში, კერძოდ, ამის შესახებ იწერება თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის ზეინკალი გ. კაცაძე. მის აზრს იზიარებენ სხვა ავტორებიც.

ობიექტის ხელმძღვანელთა დიდი ავტორიტეტისა და პასუხისმგებლობის პრობლემა ბევრს აწუხებს, ვინაიდან მომსახურების სფეროს ღირსებები და ნაკლოვანებები სწორედ ხელმძღვანელის ავტორიტეტზეა დამოკიდებული. ნაცვლიშვილი (თბილისი) სვამს საკითხს — როგორი უნდა იყოს მაღაზიის გამგე? და თვითონვე უპასუხებს: იგი უნდა ერკვეოდეს ვაჭრობაში, იყოს ინიციატივიანი, პატიოსანი, კულტურული, თავაზიანი, დისციპლინიანი, კეთილსინდისიერად ეკიდებოდეს თავის მოვალეობას და ამასვე უნდა სთხოვდეს ხელქვეითებს.

მაღაზის გამგე მეტწილად თავის კანტორაში კი არა, სავაჭრო დარბაზში უნდა იყოს, თვალყურს ადევნებდეს გამყიდველების მუშაობას, მის ფხიზელ თვალს არაფერი უნდა გამოეპაროს. როცა მუშაკი გრძნობს, რომ მას ხელმძღვანელი ადევნებს თვალს, ველარც გაბედავს უხეშად მოეპყროს მყიდველს, ზომა-წონაში ან ანგარიშში მოატყუოს იგი და მყიდველიც მაღაზიიდან მადლიერი წავა.

ძნელია არ დაეთანხმო რუსთაველი ს. ხიდაშელის, თბილისელი ნ. ჩუთლაშვილის, ჯუგაანელი კ. მაისურაძის და სხვათა წერილებში გამოთქმულ აზრს, რომლებიც აყენებენ საკითხს, რომ საჭიროა არა მარტო გაუმჯობესდეს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის ხელმძღვანელის ავტორიტეტი, არამედ ამაღლდეს კიდეც მისი პასუხისმგებლობა. სწორედ მას მოეკითხება პასუხი მთელი კოლექტივის საქმიანობისათვის, მისი ყოველი წევრის ქცევისათვის.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი ცდილობს თავი აარიდოს ასეთ პასუხისმგებლობას და მხოლოდ გეგმის შესრულებისათვის პასუხისმგებლობას სჭერდება. გამყიდველმა დააშავა, ჩემი რაღა ბრალიაო, — ამბობენ ისინი. ეს მცდარი თვალსაზრისია.

მშრომელთა წერილებში ბევრს უჩივიან საზოგადოებრივი კვების ობიექტების ცუდ მუშაობასა და სუსტ მომარაგებას, უხარისხო და ერთფეროვანი კერძების დამზადებას, მომხმარებელთა ანგარიშში მოტყუებას. წერილების ავტორებს შემოაქვთ კონკრეტული წინადადებები ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ. სავსებით კანონზომიერია, რომ ამ წერილებში მოითხოვენ ჯეროვანი წესრიგი დამყარდეს სასადილოების, კაფეების, რესტორნების მუშაობაში.

რესტორნები უხვად არის, — წერენ ბათუმიდან, — გემრიელად კი ვერსად ისადილებ. კერძები ერთფეროვანი და ძვირია, სპირტიანი სასმელები კი თავსაყრელად არის. ერთ დროს ჩვენი ქალაქი განთქმული იყო შავი ყავით, ახლა კი იგი ერთადერთ ადგილას — სასტუმრო „ინტურისტის“ კაფეში შეგიძლიათ დალიოთ.

აუცილებლად მხედველობაში მისაღებია 1917 წლიდან პარტიის წევრის დ. გოგორიშვილის აზრი, რომ მძიმე საოჯახო შრომისაგან ქალის გასათავისუფლებლად საჭიროა გაფართოვდეს სასადილოებისა და საოჯახო სამზარეულოების ქსელი.

გულისტკივილით წერს საზოგადოებრივი კვების სპეციალისტი, ძველი კომუნისტი ნ. შოთიდი:

— სოცარია, რომ პროდუქტების ასეთი სიუხვის პირობებში, როგორიც ჩვენ გვაქვს, ბევრგან ღარიბია კერძების ასორტიმენტი, კიდევ უფრო უცნაურია, რომ კერძებს მხოლოდ ხორცისაგან ამზადებენ, მაშინ როცა ბოსტნეულის სეზონია!

წერილის ავტორის აზრით, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად მზარეულები და კულინარები განთავისუფლებულ უნდა იყვნენ მატერიალური პასუხისმგებლობისაგან. ახლა კი, ნაცვლად იმისა, რომ თავიანთ უშუალო მოვალეობას ასრულებდნენ — კერძებს ამზადებდნენ, ისინი იძულებული არიან ბუღალტრებად და მოანგარიშეებად მუშაობდნენ.

— ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბევრ მოძმე რესპუბლიკაში ვაჭრობის მაღალ დონეს დაფასოებული საქონლით მიაღწიეს. იქ თითქმის მთელ სურსათს მომხმარებელს დაფასოებულს სთავაზობენ, — იტყობინებიან კოლექტიური წერილის ავტორები. — ვაჭრობის ამ პროგრესული ფორმის უპირატესობებს თუნდაც ის მოწმობს, რომ იგი მყიდველთან ზუსტი ანგარიშსწორების კარგი საშუალებაა, რამდენადმე აჩქარებს ყიდვა-გაყიდვის პროცესს და ბევრად ზოგავს დროს. ამას გარდა, ასეთი ვაჭრობა როგორც მყიდველს, ისე გამყიდველსაც თავიდან აცილებს ბევრ უსიამოვნებას.

იქნებ ღირდეს, გვირჩევენ წერილის ავტორები, მომავლისათვის გადავდოთ ზოგიერთი საქმე და სამაგიეროდ უახლოეს ორ-სამ წელიწადში უზრუნველვყოთ სავაჭრო ქსელი მხოლოდ დაფასოებული სურსათით.

ავტორთა დიდ ჯგუფს აწუხებს ქალაქში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ვაჭრობის პრობლემა. ისინი შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბაზრის ფასები ჯერ ისევ მაღალია, სუსტად წარმოებს ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობას მუშახელი აკლდება იმის გამო, რომ ზოგ-ზოგებს ბაზარში გასაყიდად მიაქვთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ამის გამო ზოგი ავტორი მოითხოვს, რომ საკოლმეურნეო ბაზრებში ორგანიზებული წესით, გეგმაზომიერად შემოჰქონდეთ გასაყიდი პროდუქტები არა ცალკეულ პირებს, არამედ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ზოგის აზრით სოფლად უნდა შეიქმნას ზედმეტი პროდუქტების შესასყიდი და გასასაღებელი დამამზადებელი პუნქტები (ს. შანშიაშვილი, რუსთავი), ზოგის სურვილია, რომ ბაზრებში ხდებოდეს ფასების რეგულირება (ინჟინერი ა. თარგამაძე, პენსიონერი დ. ერიომენკო, თბილისი).

ბევრ წერილში დიდი უკმაყოფილებაა გამოთქმული კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიების მუშაობის გამო.

— ეს რა ვაჭრობაა?! — აღშფოთებული წერს კომუნისტი შ. ჭილაია, — კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიებში პროდუქტები ხშირად უფრო ძვირია, ვიდრე ბაზარში, თუმცა ხარისხი გაცილებით ცუდია.

— ასეთივე პრეტენზიებს გამოთქვამენ ცეკავშირის სავაჭრო ქსელის მიმართ სხვა წერილებშიც.

ინჟინერი შ. ფანცულაია საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებულ სათბურებს ეხება, რომლებიც ზოგ ვინმეს უკანონო გამდიდრების წყაროდ გაუხდია. მისი წინადადებაა აღწერონ ყველა სათბური, განსაზღვრონ მათი საშუალო თვიური მოსავლიანობა, სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა და მხოლოდ ამ გეგმის შესრულების შემდეგ მისცენ უფლება მფლობელებს გაიტანონ ბოსტნეული ბაზარში.

პარტიის წევრი დ. გუგავა სხვა საკითხებთან ერთად ეხება პურითა და პურპროდუქტებით ვაჭრობას. საჭიროა, წერს იგი, მოვაგვაროთ პურით ვაჭრობა, გავაუმჯობესოთ მისი ცხობა, მეორე მხრივ არანაკლებ საჭიროა ვიბრძოლოთ პურის რაციონალური გამოყენებისათვის, მივაღწიოთ იმას, რომ უქმად არ იკარგებოდეს ძვირფასი კვების პროდუქტები. სასურველია, სიმინდის ფქვილი გაცრილი იყიდებოდეს. მაშინ ჭატო არ გადაიყრება. სუფრის მწვანილი სავაჭრო ქსელში მოდის ტალახიანი, არაკონდიციური, ზოგჯერ კი სრულიად უვარგისი. ასეთი პროდუქტებით ვაჭრობა უპატივცემლობაა როგორც მყიდველის, ისე თვით დახლის მუშაკების მიმართ.

წერილების ავტორები აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ სერიოზული ნაკლოვანებებია პირველი საჭიროების საგნების (საპონი, სუფრისა და ქვამარილი) და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის (ნიჩაბი, თოხი, ცელი და სხვ.) ვაჭრობაში.

ჯერ კიდევ ჩამორჩება დროის მოთხოვნებს საყოფაცხოვრებო მომსახურების დონეც, განსაკუთრებით სოფლად, წერს ბ. იმედაძე. ბევრგან არ არის შექმნილი საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოთა მუშაობის ელემენტარული პირობები.

ინჟინერი შ. ჭილაია, ავტორების ჯგუფი — ა. დვალი, ლ. ბუაძე, გ. გაჩეჩილაძე და სხვები, შრომის ვეტერანი კ. კეიზერი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ნ. სტრელჩნოკი, ძველი კომუნისტი ე. აბრიამოვი თავიანთ წერილებში აყენებენ საკითხს, რომ საჭიროა გაიხსნას სხვადასხვა დანიშნულების ახალი ობიექტები — სავაჭრო ცენტრი ვარკეთილის მასივის ზედა პლატოზე, ბოსტნეულის მაღაზია ლაითურისა და ხერთვისის ქუჩების მახლობლად, რძის პროდუქტების სპეციალიზებული მაღაზია მოსკოვის პროსპექტზე, დიეტური მაღაზიები ვაკესა და დიღომში.

ბევრ მაღაზიასა და კომბინატში, სასადილოებსა და საპარიკმახეროებში, რესტორნებსა და ავტოპროფილაქტორიუმებში, საგაზეთო კიოსკებსა და აფთიაქებში, საქალაქო და სარკინიგზო ტრანსპორტზე, ბაზრებში ჯერ კიდევ არის საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევები, მომხმარებელთა მოტყუების ფაქტები, — წერენ ბევრი წერილის ავტორები. ადამიანი ამ შემთხვევაში ორმაგად ზარალდება — მატერიალურადაც და მორალურადაც. ამიტომ წერილებში იგრძნობა უკმაყოფილება, გულისწყრომა, აღშფოთება.

— რა უნდა ვიღონოთ ასეთ შემთხვევაში?

ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, „რამდენადაც რჩევასა და ლაპარაკს საჭირო შედეგები არ მოაქვს, უნდა უფრო მკაცრი ზომები ვიხმაროთ. (ნ. ჩუთლაშვილი), „შეურიგებელი ბრძოლა გამოვუცხადოთ დარღვევებსა და დანაშაულს; ყოველი მათგანისათვის პასუხს უნდა აგებდეს უშუალო დამნაშავეც და ხელმძღვანელიც — გამგე თუ დირექტორი“ (ს. ხიდაშელი), „უნდა გავაძლიეროთ რევიზია და კონტროლი“ (კ. მაისურაძე).

ბევრი მოითხოვს, რომ მეტ ინიციატივასა და აქტივობას უნდა იჩენდეს ყოველი ჩვენგანი, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა. თვითეული მოქალაქე შეურიგებელი, მომთხოვნი და ურყევი უნდა იყოს წესრიგის დამრღვევის მიმართ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ძირეული ამაღლების პრობლემების მომავალი განხილვის გამო თავიანთი მოსაზრებები და სურვილები გააცნეს კომისიას ომის ვეტერანმა ვ. ბოლოკაძემ (ხაშური), ტელემექანიკოსმა გ. ასლიბეკოვმა (თბილისი), რკინიგზელმა ლ. წურწუმიამ (ახალი ათონი), ომის ვეტერანმა ა. ორაგველიძემ (თბილისი), კომუნისტმა შ. ზაქარაიამ (გეგეჭკორი), პენსიონერმა პედაგოგმა ზ. ზვერიაშვილმა (გურჯაანი), პენსიონერმა ვ. გობეჩიამ, ინჟინერმა პ. დათუაშვილმა, ა. შავიძემ (თბილისი) და სხვებმა.

მშრომელთა წერილები გამსჭვალულია კეთილშობილური მისწრაფებით — ხელი შეუწყონ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებას, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

შეუძლებელია გაზეთის ფურცლებზე გამოვიტანოთ ყველა ის საკითხი, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიღებული წერილების ავტორები აყენებენ. თვითეულ წერილს საფუძვლიანად და ყოველმხრივ სწავლობს პლენუმის მოსამზადებელი კომისია. ზოგიერთი წერილი, რომლებშიც ლაპარაკია კონკრეტულ ნაკლოვანებებზე, შესაბამის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს ეგზავნება საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად. შედეგებს მოახსენებენ პლენუმს.

**პლენუმის მოსამზადებელი კომისია დიდ მადლობას უხდის ყველა ამხანაგს, რომლებმაც წერილები გამოგზავნეს და გამოთქვეს წინადადებები, სურვილები და შენიშვნები, რითაც ხელი შეუწყეს პლენუმისათვის გულდასმით და ყოველმხრივ მომზადებას, და ელის ახალ წერილებს.**

(საქინფორმი).

---

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე

# მოვრწყავთ ვენახები

**წლითიწლობით** ფართოვდება მელიორირებული მიწები. ამ სავარგულებზე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მარცვლეულის, ყურძნის, ხილისა და ბოსტნეულის დიდ მოსავალს იღებენ.

მივაღწიოთ წარმოების სტაბილურობას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ეფექტიანობის ყოველნაირად ამაღლებას — აი უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ დაგვისახა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა სარწყავი მევენახეობის განვითარება, რომელიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია.

მეათე ხუთწლედში საქართველოს მელიორატორებს დიდი, პასუხსაგები მუშაობა მოელით. უნდა მოირწყას 70 ათასი ჰექტარი მიწა და ამოშრეს 40 ათასი ჰექტარი კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული მიწები.

მშენებლობა ჩადგება რამდენიმე წყალსაცავი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სარწყავი წყლის ნაკლებობას. ამ მიზნისათვის გამოყოფილია 560 მილიონი მანეთი, რაც 1,6-ჯერ მეტია, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. განსაკუთრებით მწვავედ დგას ახლა ვენახების რწყვის პრობლემა.

მელიორაციული მშენებლობის პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოში იყო სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი ე. ე. ალექსეევსკი. იგი გაეცნო აღმოსავლეთ საქართველოს წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობას, მთავარი ყურადღება დაეთმო სარწყავი მევენახეობის შემდგომ განვითარებას. ამხ. ალექსეევსკი დაეთანხმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებას, რომ შეიქმნას სპეციალური გაერთიანება, რომელიც იმუშავებს სამრეწველო მევენახეობის ზონაში სარწყავი სისტემების მშენებლობის საკითხებზე. საკავშირო მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნას საქართველოს სსრ სამელიორაციო მშენებლობის გაერთიანება — „საქსამელიორაცია“, და დამატებით 100 მილიონი მანეთი გამოყო მეათე ხუთწლედში სარწყავი მევენახეობის განსავითარებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახლად შექმნილი გაერთიანების საქმიანობას და იმედი აქვთ, რომ იგი წარმატებით გადაწყვეტს სამელიორაციო მშენებლობის დიდმნიშვნელოვან ამოცანებს ყურძნის წარმოების შემდგომი გადიდების უზრუნველსაყოფად.

„საქსამელიორაციის“ გაერთიანების შექმნა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რესპუბლიკაში სამელიორაციო მშენებლობას. თავის მხრივ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობა მიეცემა მეტი ყურადღება დაუთმოს არსებული სარწყავი და დასაშრობი სისტემის ექსპლოატაციას, აგრეთვე კოლხეთის დაბლობის ამოშრობას.

პერსპექტიული გეგმით, რომელიც წინასწარ განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ვენახების ფართობები 110 ათას ჰექტარამდე უნდა გაიზარდოს, ხოლო ყურძნის მთლიანმა მოსავალმა ერთ მილიონ ტონას უნდა მიაღწიოს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს დადგენილება „1976-1980 წლებში მიწების მელიორაციის გეგმისა და მელიორირებული მიწების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების შესრულება, აგრეთვე ახალი გაერთიანების — „საქსამელიორაციის“ შექმნა დაეხმარება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს, რომ გაზარდონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება.

# პოლიმერები სარწყავ არხებში

**საქართველოს** რუკაზე ცისფერ ხაზებად გადაჭიმულა სარწყავი არხები. ხელოვნურმა მდინარეებმა ცხოველმყოფელი წყალი მიაწოდეს მინდვრებს და იქ, სადაც წინათ შამბნარი იყო, ახლა ვენახები, ხილის ბაღები უხვ მოსავალს იძლევიან. მაგრამ მთელი სარწყავი წყალი როდი ხვდება მინდვრებში, მისი ნაწილი იკარგება.

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა შეიმუშავეს წყლის ფილტრაციასთან ბრძოლის ეფექტიანი მეთოდი, რომელიც 20-ჯერ ამცირებს წყლის დანაკარგებს. მათ გამოიყენეს პოლიმერული ნივთიერებანი გრუნტების თვისებათა მიზანდასახული რეგულირებისათვის. არხების კედლებისა და ფსკერის პოლიმერების თხევადი ხსნარით ჟაჟღენთვა ქმნის წყალგაუმტარ ფენას.

— მელიორაციაში პოლიმერულ ნივთიერებათა გამოყენება, — თქვა ინსტიტუტის გრუნტების მექანიკის ლაბორატორიის გამგემ ტ. ჟორდანიამ, — შესაძლებელი გახდა ფიზიკური ქიმიის მიღწევების შედეგად. ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდი მარტივი და ეკონომიურად ხელსაყრელია. ხელოვნური მდინარეების კალაპოტის პოლიმერებით ჰერმეტიზაციის ყველა ოპერაციის შესრულება შეუძლიათ თვით მუშაკებს, რომლებიც სარწყავ სისტემებს ემსახურებიან. ამით დაინტერესდნენ აგრეთვე წყლის სისტემების დამპროექტებლები, მშენებლები, ჰიდროტექნიკოსები.

ზემო სამგორის სარწყავ სისტემაზე ორ წელზე მეტი ხნის გამოცდამ დაამტკიცა, რომ საიმედოა ეს „პოლიმერული პერანგი“. თუმცა შემუშავებული მეთოდი დიდად ეფექტიანია, მაგრამ ფართო მასშტაბით რეკომენდაციას ვერ მივცემთ, რადგან ატარებს ზუსტად მიზანდასახულ ხასიათს და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მოცემული სამელიორაციო რეგიონის გრუნტებისა და ნიადაგების სტრუქტურაზე. გრძელდება უფრო თანამედროვე უნიფიცირებული მასალების ძიება და შემუშავება. კვლევის მთავარი და ყველაზე შრომატევადი ნაწილი უკვე დამთავრდა. ინსტიტუტში შემუშავებულია მოქმედების ფართოსპექტრიანი მასალების სრულყოფისა და შექმნის ახალი ტექნიკური პირობები.

ქართველ მეცნიერთა მიერ შემუშავებულმა მეთოდმა ამერიკელ სპეციალისტთა ყურადღება დაიმსახურა, რომლებმაც გადაწყვიტეს იგი გამოიყენონ ამერიკის შეერთებული შტატების პირობებში. (საქინფორმი).

# მექანიზატორთა დასახმარებლად

**აბაშა.** (საკ. კორ.). რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს მექანიზატორთა კადრების მომზადებას, ბრიგადებისა და რგოლების ახალგაზრდა მექანიზატორებით დაკომპლექტებას. „საქსოფლტექნიკის“ ადგილობრივ განყოფილებაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობენ მექანიზატორთა მოსამზადებელი კურსები. მოკლე დროში გამოუშვებენ 200 კომკავშირელ მექანიზატორს.

კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა ამ საკითხს სპეციალური პლენუმი მიუძღვნა. აქ საქმიანად იმსჯელეს ახალგაზრდა მექანიზატორთა დახმარების, წახალისების, სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლის საღლეისო საკითხებზე.

# ჯილდო მშენებლებს

ცხაკაია. (საკ. კორ.). ნაყოფიერად შრომობს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის № 12 სამშენებლო კოლონის (უფროსი შ. ჯავახია) კოლექტივი, რომელმაც წლევანდელი წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და მშენებელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა და ფულადი პრემია დაიმსახურა. ორ კვარტალში 1 მილიონ 149 ათასი მანეთის ნაცვლად საკუთარი ძალებით შეასრულეს 1 მილიონ 206 ათასი მანეთის სამუშაო, ხოლო სუბმოიჯარადრე ორგანიზაციების მეშვეობით — 342.300 მანეთისა. ეკონომიამ ხელფასის ფონდში 12.600 მანეთი შეადგინა.

---



**ქ**ალაქ ბათუმის საწარმოთა კოლექტივებს შორის გაშლილ შეჯიბრებაში საუკეთესოდ ცნეს ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ივლისში რეალიზაციის გეგმა 104,2 პროცენტით, ხოლო მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა 103,7 პროცენტით შეასრულა.

ამ დღეებში ბათუმელი მენავთობეები ტემპის შეუნელებლად მუშაობენ. ნავთობპროდუქტების გამოშვების საქმეში კარგი მაჩვენებლები აქვს № 2 საამქროს № 25 კომუნისტური შრომის დანადგარს. აქ ყოველმა ვახტმა მაღალხარისხოვანი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა შორის ასახელებენ უფროსი ოპერატორის შალვა დოლიძის ვახტს, რომელიც ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს.

ს უ რ ა თ ზ ე: უფროსი ოპერატორი შალვა დოლიძე და ოპერატორის თანაშემწე თამაზ ბერიძე ვახტზე.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

# ფართოვდება პარტიული სწავლების ქსელი

**ქალაქ** თბილისის 26 კომისრის რაიონში მთავრდება პარტიული სწავლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის სამზადისი, პარტიული და ეკონომიური განათლების ქსელის დაკომპლექტება. იგი ხორციელდება იმ დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული სწავლების ამოცანების შესახებ“. ეს საკითხები განიხილეს პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, პარტიული აქტივის ფართო წრის საინსტრუქტაჟო თათბირებზე.

რაიონში აღებულია კურსი, რომ გააფართოონ სწავლების ქსელი, სრულყონ კადრების იდეურ-თეორიული სწავლების ფორმები და მეთოდები. განსაზღვრულია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის აქტუალური საკითხების“ კურსის შემსწავლელთა პარტიული განათლების დაწყებითი რგოლის მეცადინეობის თემატიკა. მასში შედის სკკპ XXV ყრილობის მასალების შესაბამისი 14 თემა, რომელთა შესწავლას 60 საათი ეთმობა. ამდენივე დროს მოახმარენ [illegible]

პარტიის რაიკომის ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის პედაგოგებისათვის იხსნება ლექტორიუმი თემაზე „საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო, მისი ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტორები“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — საბჭოთა ხალხის ორგანიზატორული და პოლიტიკური ხელმძღვანელი“. „საერთო-სახალხო სახელმწიფო და მუშათა კლასის წამყვანი როლი საბჭოთა საზოგადოებაში“ — ასეთ ლექტორიუმს აწყობენ პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკებისათვის. რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები ლექტორიუმში ივლიან და შეისწავლიან საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების საკითხებს.

რაიონში ფართოვდება ყოველგვარი პოლიტიკური და ეკონომიური სწავლების, სახალხო უნივერსიტეტების ქსელი. არსებული 13 სახალხო უნივერსიტეტის დამატებით გადაწყვეტილია შეიქმნას — მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის ახალი უნივერსიტეტი.

დიდი ყურადღება ეთმობა პროპაგანდისტების, ლექტორების, კონსულტანტების [illegible]

და „შრომის“ კურსის შესწავლაზე. ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებიც წარმოების მართვისა და ეკონომიკის საფუძვლებს დაეუფლებიან, გაივლიან კურსებს „ინჟინრის შრომა სოციალისტურ საზოგადოებაში“ და „ხელმძღვანელის შრომა“.

[illegible] მოქმედი სემინარები. დიდი როლი ეთმობა აგრეთვე რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტთან არსებულ მეთოდიკურ საბჭოს, რომელსაც პარტიის რაიკომის მეორე მდივანი გ. შუღაროვი უდგას სათავეში.

(საქინფორმი).

---

25 აგვისტო

# „პრავდის“ ფურცლებზე

**„მხარი ვუსწოროთ მკის ოსტატებს“**, მოუწოდებს გუშინდელი ნომრის მოწინავე ჩვენი სოფლის მშრომელებს.

ჯერ კიდევ ალოობის დამდეგს, როცა მიმართა წარმოების ნოვატორებს, რომლებმაც გამოიჩინეს თაოსნობა, რომ სწრაფად და მაღალხარისხოვნად ჩაეტარებინათ მინდვრის სამუშაოები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი წერდა: **„უდავოა, თქვენს მაგალითსა და ამ პროგრესულ გამოცდილებას ფართოდ დაუჭერენ მხარს ქვეყნის მიწათმოქმედნი, ხელს შეუწყობს სოფლის მშრომელთა შორის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას“.**

**ახლა მიწათმოქმედთ არა აქვთ უფრო პასუხსაგები ამოცანა, — წერს გაზეთი, — ვიდრე მკის წარმატებით დამთავრება, სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გადიდებული ვალდებულებების შესრულება, საგაისოდ ნიადაგისა და თესლის დროული მომზადება. მინდვრის ოსტატთა მაგალითი აქ ბევრ რამეს ნიშნავს. მაგრამ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები ჯერ კიდევ ყველგან არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას საუკეთესო გამოცდილების დანერგვას.**

სოფლის მექანიზატორთა ოსტატობაზე, ორგანიზებულობაზე, საქმისათვის პასუხისმგებლობაზე, მწყობრ და შეხმატკბილებულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მოსავლის ბედი. უნარიანად გამოვიყენოთ ტექნიკა, სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, არათუ შევასრულოთ, გადავაჭარბოთ კიდეც სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის მეათე ხუთწლედის პირველი წლის ვალდებულებებს — აი იმათი მთავარი ამოცანა, ვინც ახლა ქვეყნის ყანებში შრომობს.

აქვე, პირველ გვერდზე რუბრიკით — „მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია“ — წაიკითხავთ ა. ჩაგაევის წერილს — **„დრო აჩქარებს მთიბავთ“**, რომელიც ჯამბულის ოლქის საკვებმომპოვებლებზე მოგვითხრობს.

გაზეთი აქვეყნებს ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ტ. უსუბალიევის სტატიას — **„წინამძღოლთა პასუხისმგებლობა“** (მე-2 გვ.).

**„გავზარდოთ ქაღალდის გამოშვება“**—ასეა დასათაურებული კარელიელი მექაღალდეების წერილი. დღე და ღამ გუგუნებენ ქაღალდის მანქანები, წერენ ავტორები, — თეთრი ნაკადი, რომელსაც ისინი ქმნიან, ჯერ რულონებად, ხოლო შემდეგ მილიონობით გაზეთის ფურცლად გადაიქცევა. ჩვენი ქვეყანა ყველაზე მკითხველი ქვეყანაა მსოფლიოში, და ქაღალდის მოთხოვნილებაც სულ უფრო იზრდება. ამიტომაც მკაცრად ვადევნებთ თვალყურს, რომ თეთრი ნაკადი არ შენელდეს და დღითიდღე უფრო გაიზარდოს.

ამას წინათ ტელემაყურებელმა ნახა ს. გერასიმოვის ტელეფილმი — **„წითელი და შავი“** (ოპერატორები რ. წურწუმია და ა. რეხვიაშვილი, მხატვარი-დამდგმელი პ. პაშკევიჩი, მსახიობები ნ. ერიომენკო, ნ. ბონდარჩუკი, ნ. ბელოხვოსტიკოვა და სხვები). ამ ფილმის გამო გაზეთი აქვეყნებს ი. ვარშავსკის რეცენზიას — **„სულის დიალექტიკა“**.

როგორც ვ. მოლჩანოვი ლენინგრადიდან იუწყება, პუშკინის ხელნაწერებს კიდევ ერთი ახალი ავტოგრაფი შეემატა. 1937 წელს პუშკინის ფონდი 800 ორიგინალზე მეტს ითვლიდა. ამ ხნის მანძილზე მისი რიცხვი ორჯერ და მეტად გაიზარდა. უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ფონდი 25 ახალი ავტოგრაფით შეივსო.

ПРАВДА

## ცხოვრება ცდის სტუდენტობას

# 2. ჩვეულებრივი გმირობა

### წერილები სმოლენსკიდან

#### ქართველი ახალგაზრდების შრომითი სემესტრი

Ირგვლივ დაბურული ტყეა. ქვემოთ, არყნარ ხევში მდინარე დესნა მიდუდუნებს. გაღმა ნაპირზე მოჩანს თხელ ნისლში გახვეული ტყიანი გორა. საოცარი სიმწვანე და სიჩუმეა ირგვლივ. კარვების ბანაკი ყვინთავს ამ სიჩუმეში, იგი პირმზითშია აშენებული. მისასვლელები და კარვებსშორისი ბილიკები მოციმენტებულია. საღამო ხანია. შინ კი არავინ არის, ყველანი სადღაც გაკრეფილან.

— ამ ტყეში იქნებიან, — მეუბნება მძღოლი პეტრე ვასილის-ძე ზენკოვიჩი, რომელიც ამ ბანაკს ემსახურება. მან ეს წუთია ჩამომიყვანა ატომური ელსადგურის მშენებლებთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან.

მალე გაღმა ტყეში კოცონი აბრიალდა.

ჩავსხედით მანქანაში და კოცონისაკენ გავსწიეთ.

ბიჭები მორებსა და ფიჩხებს უმატებდნენ კოცონს. არყის ქერქეჩელას ტკრციალი გაჰქონდა. ცეცხლის ენები ცას ლოკავდნენ. რაღაც უხალისოდ საქმიანობდნენ, ცოტა მოშორებით ბენზოხერხები გუგუნებდნენ, სხვები წაქცეულ არყებს ბელავდნენ, სხეპავდნენ, ანაკუწებდნენ, სხვები კიდევ მორებსა და ნაფოტებს, ტოტებსა და კაწწებს ეზიდებოდნენ კოცონთან და ზედ აყრიდნენ. ერთი სიტყვით, ნამდვილი ტყეკაფი იყო გაჩაღებული.

მართალია, ბიჭები მარდად ასრულებდნენ თავიანთ საქმეს, გაბელვას, დანაკუწებას, დაჭრას და კოცონთან მიზიდვას, მაგრამ მათს მოძრაობაში ჩვეული სიხალისე არ იგრძნობოდა, „ალბათ დაიღალნენ-მეთქი". ვფიქრობდი გულში მანქანის კაბინაში კატრუნული. ბოლოს, სამუშაოს რომ მორჩნენ, ცეცხლთან შეიყარეს თავი და უნდილად მიაჩერდნენ კოცონს. არც ერთი არ იღებდა ხმას.

საღამოს შტაბში მოვიყარეთ თავი. აქ იყვნენ ფიზიკოსთა რაზმების „მეზონისა" და „ექსიტონის" მეთაურები — გურამ ლელაშვილი და ილია ლომიძე. მთავარი ინჟინრის მოვალეობის შემსრულებელი რობინზონ ჩხოკვაძე და ექსიტონელთა „კარის პოეტი" რაზმის სახაზო მეთაური სერგო ზარიფიანი.

— რაღაც მოწყენილობა შევატყვე თქვენს ბიჭებს, რაშია საქმე? — შევეკითხე მასპინძლებს.

ამ დროს ოთახში „მხერხავები" შემობრახუნდნენ.

— სოსო ფშაველიშვილი, ანატოლი გვირჯიშვილი, მირონ ტაბიძე, შალვა ნაცვლიშვილი, — მაცნობს ახალმოსულებს გურამი. ესენი გახლავთ ჩვენი რაზმის ძირითადი დამკვრელური ბირთვი. ბიჭებმა აქვე გაიარეს სახელდახელო კურსები „მხერხაობაში".

— თქვენს კითხვაზე თვითონვე გაგცემენ პასუხს, — მეუბნება მერე ილია ლომიძე, — ეგენი აქ, ვატყობ, რაღაც მნიშვნელოვან საქმეზე არიან მოსულები...

სოსო ფშაველიშვილმა გუდას პირი მოხსნა:

— ამდენ ტყეს ვანადგურებთ, ხუმრობა საქმე ხომ არ არის. მართალია, ელექტროსადგური შენდება, მდინარე უნდა დაგუბდეს და ეს ფერდობები წყლით დაიფაროს, მაინც ჩალპება შიგა, ერთი სიტყვით, მოსაწმენდი რომ იქნურობა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, არც არავინ ამბობს ამას, მაგრამ, გამაგებინეთ, თუ ძმა ხარ, — ახლა მე მომიბრუნდა იგი, — ეს რაღაა, რომ მთელი ეს მოჭრილი მერქანი მაინცდამაინც ნაცარტუტად უნდა ვაქციოთ? ჩამოწერილ საქონელს ანადგურებენ ხოლმე ეგრე უმოწყალოდ. აქტს შეადგენენ, ცეცხლს წაუკიდებენ და მორჩა. ეს ხეები კი ვითომ ვიღამ ჩამოწერა? მთელ მსოფლიოში მერქნის ნაკლებობაა, მომავალში ეგ პრობლემა ალბათ კიდევ უფრო გამწვავდება, არაერთგზის გაუჩენს კაცობრიობას თავსატეხს, ჩვენ კი რას ვაკეთებთ? მოვჭრით, დავკუწავთ და ცეცხლში ვუძახებთ. მთავარი კი სწორედ ეგაა, მოჭრა, გასხეპვა, და ერთ ადგილზე მოქუჩება, მერე კი რაღა გვრჩება? აბა ერთი დავფიქრდეთ, რაღა რჩება მერე? მანქანაზე დატვირთვა და დანიშნულების ადგილას მიტანა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, რაღაც ანიშნეს, მერე სოსომ კვლავ განაგრძო:

— ერთი სიტყვით, ჩვენ ერთი იდეა დაგვებადა. მოკლედ მოგახსენებთ, დესნაგორსკის საქალაქო საბჭოს ვთხოვოთ, გამოგვიყოს შეშის საზიდად ერთი მანქანა, შეადგინოს ომის ინვალიდებისა და პენსიონერთა ოჯახების სიები, ჩვენ საშეშე ხეებს ცალკე დავაგროვებთ, დავტვირთავთ მანქანაზე და თვითონვე მივუტანთ მოსახლეობას, ეს არის სულ...

ბიჭების იდეას ყველამ დაუჭირა მხარი. გურამ ლელაშვილი და ილია ლომიძე მოხსენებითი ბარათის წერას შეუდგნენ.

მალე ფიჩხსა და ნაფოტს წავიდნენ. საშეშე მორებს ცალკე აწყობდნენ, დესნაგორსკის საქალაქო საბჭოს მიერ გამოყოფილი ორღერძიანი მანქანა მოსახლეობისათვის ეზიდებოდა შეშას. ბიჭები მკაცრად იცავდნენ წარმოდგენილი სიის თანმიმდევრობას.

ერთ-ერთ პენსიონერს რომ ჩამოუცალეს მორები, მასპინძელი გარეთ გამოვარდა და ბიჭებს ერთი ქოქოლა მიაყარა.

საქმის მდგომარეობა როცა აუხსნეს, მადლიერებისგან ცრემლები წამოსცვივდა. მსგავსი ყურადღება უცხოთაგან ჯერ არ მახსოვსო.

მასპინძელმა პირჯვრისწერით დალოცა ბიჭები. ბოლოს თქვა:

— ჩემი პეტია თქვენხელა იყო, ომში რომ წავიდა. და აი, იმ წუთიდან მოყოლებული ყოველცისმარე ველოდები იმის დაბრუნებას. დღეს კი ჩავთვლი, რომ დამიბრუნდა...

საღამოს ფიზიკოსთა შტაბში სტუმრები მოვიდნენ როსლავლის საქალაქო საბჭოდან. მათ ადგილობრივი ხელისუფლების სახელით მადლობა გადაუხადეს ბიჭებს ხე-ტყის რაციონალურად გამოყენების საქმეში გამოჩენილი საზრიანობისათვის.

ვერნი ალფაიძე მართლაც — „ზედმიწევნით" შერჩეული პიროვნება გახლავთ ისეთი უბნისათვის, როგორიც სმოლენსკის შიდა ყამირია.

საქმე იმაშია, რომ გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტის დოცენტი ვერნი ალფაიძე მთელი ოჯახით არის „გადმოხვეწილი" სმოლენშჩინაში. და იგი თავისი დღედამოსწრება სირბილსა და ალიაქოთს უნდება (მხედველობაში გვაქვს სტუდენტთა საქმიანობასთან დაკავშირებული სადაო საკითხების მოწესრიგება).

— ყამირზე ხელმძღვანელისათვის, რომ არაფერი ვთქვათ სოფლის მეურნეობის სპეციფიკის მყარ ცოდნაზე, აუცილებელია იურიდიული და საინჟინრო განათლების მინიმუმი მაინც. თორემ ისე ძალიან გაუჭირდება ადამიანს, უბრალოდ, იგი ვერ შესძლებს სადაო საკითხების თავის სასარგებლოდ გადაწყვეტას, — თქვა ვერნიმ ჩვენთან საუბარში.

როსლავლიდან ტრადიციულად ყოველ დილაუთენია გავდივართ ობიექტებზე.

ეს სმოლენსკის საოლქო შტაბიო, კომკავშირისა და პარტიის საოლქო კომიტეტებიო, ახლა ჩვენი ზონალური შტაბები როსლავლსა და მონასტირშჩინაში, რაზმების სამოქმედო უბნები და მათი დისლოცირების ადგილები, სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ინჟინრები და სამუშაოთამწარმოებლები — ყველგან მისასვლელია, ყველა მოსანახულებელი! გაუთვითცნობიერებულმა ადამიანმა შეიძლება ვერც კი წარმოიდგინოს, რამდენ სახლაფორთოთ წვრილმანს გულისხმობს თავისთავში ყამირი. აქ ხომ „ყველაფერი ახლა იწყება". ეს ტერმინი სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ეკუთვნით. როგორც ყველა ახალ საქმეს, მეყამირეთა შრომისა და დასვენების საქმესაც მრავალი ზადი ახასიათებს, ზოგიერთ უბანზე ისეთი დომხალია, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ ვერაფერს. ამ დროს „ზემოდან ჩაურევლად" არაფერი გამოდის. და აი, ყველა გზა ახლა „ზემოთკენ" მიემართება. ჩვენი ბედაური ქშიტინით კეცავს კილომეტრებს როსლავლსა და სმოლენსკს შორის.

მეტწილად კი ბიჭების უკმაყოფილება გამოწვეულია სამშენებლო მასალების უკმარისობით. მასალების მოლოდინში წელი ჩამოსწყდა ხალხს. ანეკდოტებისა და ყამირული კაფიების მარაგი ჩამოუთავდათ და ახლა აღარ იციან, რომელ არარსებულ ლობე-ყორეს მიედონ. ხდება ისიც, რომ სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ზუსტად არ ანგარიშობენ შესრულებულ სამუშაოს...

იმ დღეს მონასტირშჩინის სტუდენტთა სამშენებლო რაზმების ზონალური შტაბის ხელმძღვანელებთან ერთად „ცხელ" ობიექტებზე გავიარე: ამ შტაბის უფროსი როლანდ ჯანაშია ისე გაცხარებული ჩანდა, რომ ბრაზისაგან ჩვენი „კოლხოზნიკის" ძრავასავით თუხთუხებდა.

მალე ჩვენი მანქანა სოფელ სიჩოვკაში შეგრიალდა. აქ შენდება ერთ-ერთი თანამედროვე და უდიდესი მესაქონლეობის კომპლექსი.

ოთხმოცი სტუდენტი ემსახურება მის მშენებლობას. ოცამდე ახალგაზრდას მეორე სართულის სიმაღლეზე დამონტაჟებულ ცემენტის ამრევ ბუნკერთან მოუყრია თავი.

— რაშია საქმე, ბიჭებო? — ვეძახე მანქანიდან გადმოსვლისთანავე.

— მასალები შემოგველია. ეს ერთი ბუნკერი დუღაბი გავამზადეთ, მაგრამ მანქანა დაგვეკარგა სადღაც, ეტყობა დაითრო მძღოლი და სადმე მიიძინა.

მეორე ჯგუფს კიდევ იქით, ფერმის უშველებელ ჭიშკართან მოეყარა თავი.

— ამ კედელს მოგვაყენეს, შესალესიაო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ელექტროგაყვანილობა რომ გასაკეთებელია? უიმისოდ კი რა აზრი აქვს შელესვას? ხელახლა უნდა დაინგრეს... ამას წინათ საკანალიზაციო ჭა გაგვათხრევინეს, ცემენტი ჩაგვასხმევინეს, რამდენიმე დღის მერე მოვიდნენ და ესაო, შეცდომით არისო, არ ყოფილა ნახაზზე მოცემულიო, აქ კი არა, იქ უნდა იყოსო.—ოცი მეტრის დაშორებით ახლა სხვა ჭა ამოგვათხრევინეს კიდეც, — ამიხსნა ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტმა ყაზბეგელმა დემურ ქუშაშვილმა.

ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მშენებლობაზე მასალების მოუმარაგებლობასა და სუსტ ორგანიზაციაზე გორელები თეიმურაზ კაპანაძე და მურადი მჭედლიძე, თბილისელები — დავით გველუკაშვილი და ტარიელ ნავროზაშვილი, თიანელი ნოდარ ბიჩინაშვილი, სიღნაღელი სოსო ოტიაშვილი, ადიგენელი ნუგზარ გიგულაშვილი, ქართლელი რამაზ ხანიშვილი და სხვები..

იქვე მახლობლად შვიდმეტრიანი სიმაღლის აგურის კედელზე მოფუსფუსე ახალგაზრდებთან როლანდ ჯანაშია „ბოლავდა".

— ხო-რო-შო... მაგათ ვუჩვენებ მე სეირს, ხო-რო-შო... იქადნებოდა იგი, აი მანდ რომ სავენტილაციო მილები ყრია, მაგათი დამონტაჟება დაგვავალეს, მაგრამ უამწეკრანოდ რანაირად უნდა ავიტანოთ ამ სიმაღლეზე? ხომ არ შეიშალნენ, — ჩამოსძახის მას მაღლიდან ხელში ქაფჩაბლუჯული ახალბედა კალატოზი, ეკონომიური ფაკულტეტის საბუღალტრო აღრიცხვის სტუდენტი გელა უზნეთელაშვილი და ცეცხლზე ნავთს უსხამს შტაბის მეთაურს.

— მაგათი უთავბოლობის წყალობით მარტო ჭამა-სმის ფულზე სხედან ლომივით ბიჭები. ადრე, როცა მასალები საკმარისი ჰქონდათ, ღამეც მუშაობდნენ. პროჟექტორი დაამონტაჟეს და იმის შუქზე მუშაობდნენ. ზარმაცები რომ იყვნენ, გული არ დამწყდებოდა, მაგრამ ეს რა უმსგავსობაა — ამ სიშორეზე ჩამოგვიყვანონ და ეგრე უსაქმოდ გაყურყუტონ. დამაცადონ ერთი...

„განთიადის" მეთაური რეზო ხაინდრავა:

როცა გაირკვა, რომ სოფელ ლესნიკში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის მშენებლობაზე მიგვამაგრეს, ადგილობრივ მოსახლეობასთან მეგობრული ურთიერთობა რომ განგვემტკიცებინა, ჩვენმა ბიჭებმა „რაციონალიზატორული" წინადადება წამოაყენეს. თქვეს, მოდით, სალამქალამის კვირა გავმართოთო. ახალი იდეის შინაარსი შემდეგში მდგომარეობდა — მთელი კვირის განმავლობაში თვითეულ ჩვენგანს სოფლელთათვის უნდა ეჩვენებინა თავაზიანობის უმაღლესი კლასი, ყველა შემხვედრისათვის უნდა დაგვესწრო სალმის მიცემა, მოგვეკითხა, გულთბილი საუბარი გაგვება, თუ ამისი საშუალება მოგვეცემოდა.

ამ წინადადებამ მართლაც ჩააფიქრა ყველა, ახალი და სასარგებლო წამოწყება იყო, ორიგინალური და ამავე დროს არც თუ საძნელო.

ლესნიკში გამწესებისთანავე შევუდექით იდეის განხორციელებას: ხშირად წააწყდებოდით ხოლმე ასეთ სურათს: ავტობუსში „განთიადელი" დგება თავისი ადგილიდან და უთმობს მას უფროსს, სულერთია, კაცია იგი თუ ქალი.

მაღაზიაში:

„განთიადელი" თავის რიგს სთავაზობს ვიღაც უცხო ადამიანს

გზაზე:

„განთიადელი" მიდის ბავშვიან ქალთან და დახმარებას სთავაზობს — ართმევს მძიმე ტომარასა თუ ხელჩანთას და სახლამდე აცილებს.

ჩვენმა ჩანაფიქრმა საოცარი შედეგი გამოიღო. დაახლოებით ერთი კვირის მერე უკვე ძველა თავაზიანად გვთვლიდა, პატივსა გვცემდა და სულში გვიძვრებოდა. ჩვენც უფრო გვეტეოდა გული მათთან.

„განთიადელთა" ამ ორიგინალურ იდეებზე დიდხანს ლაპარაკობდნენ სმოლენსკის ოლქში. ინტერნაციონალური მეგობრობის ნიმუშად ლესნიკელებისა და ქართველი კომკავშირლების ურთიერთობის მაგალითი მოჰყავდათ.

**მ. ხერგიანი,**
„კომუნისტის" სპეც. კორ.




სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტები ლაშქრად გასვლის წინ.
ი. ლომიძის ფოტო.

---

# მსოფლიოს ამბები

საქდესისა და უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

ფაქტები, პრობლემები

25 აგვისტო

## მეგობრობა და თანამშრომლობა

ტურკუ. მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთება სუფევს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის დამოყვრებული ქალაქების წარმომადგენელთა მეოთხე შეხვედრაზე, რომელიც აქ მიმდინარეობს.

მისმა მონაწილეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნისა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს უ. კ. კეკონენს გაუგზავნეს დეპეშები, რომლებშიც აღუთქვამენ, რომ „ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ქალაქები კვლავაც ღირსეულ წვლილს შეიტანენ ფინელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრების საქმეში".

დღევანდელ შეხვედრაზე დაიწყო განხილვა დღის წესრიგის მთავარი საკითხისა: საბჭოთა კავშირ-ფინეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებასა და სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტის განხორციელებაში დამოყვრებული ქალაქების შემდგომი აქტიური მონაწილეობისათვის.

მოხსენება გააკეთა ფინეთის შრომის მინისტრმა პაავო აიტიომ.

როცა ვავითარებთ მეგობარი ქალაქების თანამშრომლობას, ჩვენ ამით ხელს ვუწყობთ ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების მეგობრობის განმტკიცებას, რაც შეესაბამება ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ინტერესებს, სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტის ფორმასა და შინაარს, თქვა პაავო აიტიომ.

საბჭოთა კავშირის მხრივ ამ თემაზე მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ვოლგოგრადის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ი. ატოპოვმა.

## ერთსულოვნად მოიწონეს

### გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა

ბერლინი. დღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თავის სხდომაზე მოისმინა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ე. ჰონეკერის ანგარიში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლ. ი. ბრეჟნევთან ყირიმში გამართული მეგობრული შეხვედრის შედეგების შესახებ და ერთსულოვნად მოიწონა შეხვედრის შედეგები.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიაჩნია, რომ ყირიმის შეხვედრა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ძმური ურთიერთობის ახალი გამოხატულებაა. ეს შეხვედრა, აღნიშნულია პოლიტბიუროს გადაწყვეტილებაში, დიდმნიშვნელოვანი წვლილია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობისა და სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების — სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის, მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანების განხორციელებაში. ყველა ამ საკითხში მხარეთა შეხედულებანი მთლიანად დაემთხვა ერთმანეთს.

საჭიროა, რომ ჰელსინკის თათბირზე გამოცხადებულ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს თანამიმდევრულად ახორციელებდეს ყველა სახელმწიფო ყველა დარგში, ნათქვამია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებაში.

### ყოველი მხრიდან

☐ ვარშავა. პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარემ, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. შიდლიაკმა სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს ა. ა. ლეონოვს გადასცა „პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ოქროს სამკერდე ნიშანი".

☐ დაკარი. სენეგალში 5.085 ათასი კაცი ცხოვრობს. ასეთია სენეგალის მოსახლეობის მიმდინარე წლის აპრილის აღწერის წინასწარი შედეგები. აღწერის საბოლოო შედეგები მხოლოდ მომავალ წელს იქნება ცნობილი. ათ წელიწადში სენეგალის მოსახლეობა მილიონით და მეტად გაიზარდა.

☐ მონროვია. ლიბერიაში ბოლო მოეღო ამერიკის კაუჩუკის კომპანიის „ფაირსტოუნის" ნახევარსაუკუნოვან უკონტროლო ბატონობას. ლიბერიის მთავრობის ინიციატივით გადაისინჯა პირობები კონცესიისა, რომელიც ჯერ კიდევ 1926 წელს გადაეცა ამ კომპანიას.

ახალი შეთანხმების შესაბამისად ამიერიდან „ფაირსტოუნის" კომპანიამ ლიბერიის მთავრობას უნდა გადაუხადოს ქვეყნის კანონებით დადგენილი ყოველგვარი გადასახადი, რისგანაც იგი აქამდე განთავისუფლებული იყო.

მოკლედ

## ესპანეთი. მდგომარეობა კვლავ რთულია

მადრიდი. საქდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. პრასიკოვი გვატყობინებს:

ესპანეთის პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ რთული და დაძაბულია. მას ახასიათებს მწვავე ბრძოლა ორ დაპირისპირებულ ტენდენციას შორის. იმ დროს, როცა დემოკრატიული ოპოზიცია მოითხოვს ყოველგვარი კავშირი გაწყვიტონ ფრანკისტულ წარსულთან, მემარჯვენე წრეები ყოველნაირად ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლები ზარალით გამოჰყიდნენ კრიზისიდან და ესპანელებს მხოლოდ მინიმალური უფლებები და თავისუფლებები მიანიჭონ.

დღეს მადრიდში გაიმართა მთავრობის სრული შემადგენლობის ახალი სხდომა. მინისტრები, რომლებმაც წელს ვერ მიიღეს ჩვეულებრივი აგვისტოს შვებულება, განაგრძობდნენ კონსტიტუციური რეფორმის საკითხის განხილვას, რომელსაც რეფერენდუმზე გაიტანენ. როგორც გამოირკვა, სხდომაზე სერიოზული უთანხმოებანი ყოფილა კაბინეტის ცალკეულ წევრების პოზიციებს შორის და დისკუსია გაგრძელდება. ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ქვეყნის ახლანდელ ხელმძღვანელებზე გაძლიერებულ ზეგავლენას ახდენს ეგრეთ წოდებული „ბუნკერი" — მოღვაწეთა ძლიერი და გავლენიანი ჯგუფი, რომლებმაც მტკიცედ დაუკავშირეს თავიანთი ბედი ფრანკიზმს. აშკარად ფაშისტური ორგანიზაციის „ფუერსა ნუევას" ერთ-ერთმა ლიდერმა მარიანო სანჩეს კოვისამ პირდაპირ განაცხადა, ფრანკოს მიერ შექმნილი რეჟიმის საფუძვლების ვერავითარ ხელყოფას ვერ შევურიგდებით.

მოთხოვნა წარსულთან კავშირის გაწყვეტისა და სრული დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენის შესახებ ამ დღეებში ხმამაღლა გაისმის მთელ ესპანეთში. ამ მოთხოვნის მხარდასაჭერად ახალი მასობრივი მანიფესტაციები გაიმართა მადრიდში, ბარსელონაში, ბილბაოსა და ესპანეთის სხვა ქალაქებში.

## ლიბანი. გააფთრებული ბრძოლები

ბეირუთი. ლიბანში კვლავ გააფთრებით ებრძვიან ერთმანეთს, ერთი მხრივ, ეროვნულ-პატრიოტული ძალები და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა და მეორე მხრივ, მემარჯვენე ქრისტიანული ძალები. განსაკუთრებით ულმობელი შეტაკება მოხდა გუშინ აინტურის, მტეინისა და სანინის მთიან რაიონებში, სადაც პატრიოტული ძალების რაზმები და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა რამდენჯერმე წარმატებით გადავიდნენ კონტრშეტევაზე. ბრძოლების დროს გამოიყენეს მძიმე არტილერია და ტანკები.

მემარჯვენე ძალები კვლავ ცდილობენ გაიკვალონ გზა ჩრდილოეთ ლიბანის ქალაქ ტრიპოლისაკენ და, ვინაიდან შეუპოვარ წინააღმდეგობას აწყდებიან, ბარბაროსულად უშენენ ქალაქს არტილერიისა და ნაღმსატყორცნის ცეცხლს.

აი უკვე მეორე კვირაა მემარჯვენე ქრისტიანული რაზმები ყოველდღიურად არტილერიისა და ნაღმსატყორცნის ცეცხლს უშენენ ბეირუთის დასავლეთის რაიონების მჭიდროდ დასახლებულ უბნებს. ჟლეტენ მშვიდობიან მცხოვრებლებს და მთლიანად ჩაკლეს ცხოვრება ლიბანის დედაქალაქის ამ ნაწილში.

ლიბანის პროგრესული სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ კ. ჯუმბლატმა განაცხადა, რომ ქვეყნის ეროვნულ-პატრიოტული ძალები იარაღით ხელში განაგრძობენ ბრძოლას მემარჯვენე ქრისტიანული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ისრაელთან, არაბულ რეაქციულ რეჟიმებთან და იმპერიალისტურ ქვეყნებთან ერთად ლახვარი ჩასცენ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობას და მოსპონ ლიბანის პროგრესული ძალები.

ახლა, როცა მემარჯვენე ძალებმა გააძლიერეს სამხედრო მოქმედება, პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობამ პალესტინის ახალგაზრდობის მობილიზაცია გამოაცხადა.

### დღევანდელის ილუსტრაცია

Იტალია. სულ უფრო ფართოვდება მილანის მახლობლად მდებარე ქალაქების სევეზოსა და მედის უბედურება ტოქსიკური გაზებით მოწამვლის გამო. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ივლისში „იკმეზის" საწარმოში, რომელიც საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს აწარმოებს, მოხდა აფეთქება და გაჟონილმა შხამიანმა გაზებმა მოწამლა მიმდებარე ტერიტორია. ახლა ცნობილი გახდა, რომ ტოქსიკური გაზი ხანგრძლივი მოქმედებისაა არის. გაზის ღრუბელში აღმოჩენილია ნივთიერებანი, რომლებიც ანალოგიურია იმისა, ამერიკელები ვიეტნამში რომ იყენებდნენ, როგორც დეფოლიანტებს. „იკმეზში" მომხდარი კატასტროფა სერიოზულ სიძნელეებს წარმოშობს.

სურათებზე: ქვემოთ — მოწამლული ტერიტორიის დეგაზაცია; სევეზოსკენ მიმავალი მაგისტრალი დაკეტილია მიმოსვლისათვის.






## პოლონეთი. რუსისტთა კონგრესზე

ვარშავა. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მე-3 საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებმა მუშაობა დაიწყეს 19 სექციაში. მათ უნდა განიხილონ 700-მდე მოხსენება და ინფორმაცია. პლენარულ სხდომაზე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების საერთაშორისო ასოციაციის გენერალურმა მდივანმა, ა. ს. პუშკინის სახელობის რუსული ენის ინსტიტუტის დირექტორმა ვ. გ. კოსტომაროვმა გააკეთა მოხსენება „თანამედროვე რუსული ენის განვითარების ტენდენციები".

კონგრესის მთავარი მიზანია რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდების შედარება და კვლევა.

## საფრანგეთი. მთავრობა გადადგა

პარიზი. საფრანგეთის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დ' ესტენი დღეს დაეთანხმა მთავრობის გადადგომას, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ჟ. შირაკი მეთაურობს. ეს ოფიციალურად გამოაცხადეს მინისტრთა კაბინეტის სხდომის შემდეგ.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში რამდენიმე კვირის განმავლობაში მწიფდებოდა მთავრობის კოალიციაში შემავალ პარტიათა შორის გამწვავებულ წინააღმდეგობათა ფონზე.

## დაინიშნა პრემიერ-მინისტრი

პარიზი. დღეს ნაშუადღევს პრეზიდენტმა ვ. ჟისკარ დ' ესტენმა ახალ პრემიერ-მინისტრად დანიშნა რაიმონ ბარი.

რ. ბარი 1924 წელს დაიბადა რეუნიონის კუნძულზე. იგი ეკონომიკის პრობლემების სპეციალისტია, არ არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი. რ. ბარს შირაკის მთავრობაში, რომელიც დღეს გადადგა, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პოსტი ეკავა.

## ინგლისი. როცა მზიანი ამინდი არ გიხარია...

ლონდონი. „მშრალი, მზიანი ამინდი, სიცხე" — უკვე მრავალი კვირაა ასეთი სიტყვებით ამთავრებენ თავიანთ პროგრამას ინგლისის ტელევიზიის დიქტორები. უკანასკნელი 250 წლის მანძილზე მზიანი ამინდის პროგნოზი ინგლისელებისათვის წინათ არასდროს არ ყოფილა ასეთი გულისგამაწყალებელი — ქვეყანაში დიდი ხანია საშინელი გვალვაა. ინგლისის გაზეთების პირველი გვერდები გამუდმებით ბეჭდავენ ცნობებს, რომ ხალხს აღარ ყოფნის წყალი, იწვება ტყეები, ხიზნავენ ხანძარმოდებული ზონების ცალკეული სოფლების მცხოვრებთ.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. კალაგენმა მთავრობის წამყვან მინისტრთა საგანგებო სხდომა გამართა. დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი — წყლის უკმარისობით გამოწვეული ინგლისის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სიძნელენი.

☐

## შეხვედრა მარსელინო კამაჩოსთან

გუშინ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სახლში თბილისში მცხოვრები ესპანელების წარმომადგენლები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგ მარსელინო კამაჩოს — ესპანეთის მუშათა კომისიების სამდივნოს მუშაობისათვის პასუხისმგებელ პირსა და ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრს.

აქ შეიკრიბნენ რესპუბლიკური ესპანეთის ყოფილი მებრძოლების, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ვეტერანების შვილები. იმ დროს, როცა მთელ მსოფლიოში გაიშალა ესპანელ რესპუბლიკელებთან სოლიდარობის მოძრაობა, საბჭოთა კავშირი ყოველნაირად ეხმარებოდა მებრძოლ ესპანეთის რესპუბლიკას, შეიკედლა მათი შვილები და იხსნა ისინი ომის საშინელებისაგან.

იმ ესპანელთა სახელით, რომლებმაც საქართველოში მეორე სამშობლო პოვეს, ამხანაგ მარსელინო კამაჩოს გულთბილად მიესალმა „ქართული ფილმის" სტუდიის მხატვარი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ლუის ფერნანდესი. ლუისის ბიოგრაფია ბევრი მისი თანამემამულის ბედს მოგვაგონებს. იგი 12 წლის ბიჭუნა იყო, როცა საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანეს. აქ გაიზარდა, აქ აღიზარდა და დავაჟკაცდა.

მ. კამაჩომ შეკრებილთ უამბო, თუ როგორ იბრძვიან ესპანელი მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავიანთი საარსებო უფლებებისათვის.

ესპანელმა მარკოს ალკონმა, ინჟინერმა, რომელიც თბილისის ტაქომეტრიის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობს, გულითადი მადლობა გადაუხადა სტუმარს საინტერესო და საფუძვლიანი საუბრისათვის. მან თქვა, თუ როგორ ცხოვრობენ და შრომობენ საქართველოში მცხოვრები ესპანელები. საბჭოთა კავშირში, თქვა მან, ჩვენ მშობლიური სახლი ვპოვეთ. (საქინფორმი).

---

### მსოფლიოს რუკასთან

## ჟამთა სვლისაგან მივიწყებულნი

Მალაიზიის უძველეს ქალაქ მალაკადან სამიოდე კილომეტრის დაშორებით ზღვის ნაპირას ერთი პატარა დასახლება მდებარეობს. აქ ყველაფერი უჩვეულოა. ქუჩებს ამ ადგილებისათვის უცნაური სახელწოდებები აქვთ — და კოსტა, და სილვა, და სანტიაგო. აქაურების სახისათვის აშკარად ევროპული ნაკვთებია დამახასიათებელი, მალაიზიური კეთილხმოვანი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკისაგან განსხვავებით მათ საუბარში ხორხისმიერი ბგერები ისმის. სახლები მალაიზიური ყაიდის მიხედვით ხიმინჯებზე დგას, მაგრამ ქვემოთ ღორები უძიათ, მაშინ როცა, როგორც ცნობილია, მალაელი მუსულმანები ღორის ხორცს ახლოს არ ეკარებიან.

ყველაფერი ნათელი გახდება, როცა დასახლებიდან გამოსვლისას წაიკითხავთ საგზაო მაჩვენებელს წარწერით „პორტუგალიური დასახლება". დიახ, ამ დასახლებაში პორტუგალიელები ცხოვრობენ, იმ კონკისტადორების შთამომავალნი, რომლებმაც ჯერ კიდევ 1511 წელს „ღვთისა და მეფის სახელით" დაიპყრეს მუსულმანური მალაკა, რომელიც იმ დროს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში ერთ-ერთი უმსხვილესი პორტი იყო. ვინც მალაკას განაგებს, ამბობდნენ შუა საუკუნეების სტრატეგები, მას მთლიანად ხელში უჭირავს სანელებლებით ვაჭრობა. პორტუგალიელი დამპყრობლები მალაკას საუკუნეზე მეტ ხანს განაგებდნენ, სანამ ისინი ახალმა კოლონიზატორებმა ჰოლანდიელებმა არ გააძევეს.

ამჟამად ძნელია, დასახლების მცხოვრებლებში მათი მეომარი წინაპრების შეცნობა. პორტუგალიელთა შთამომავალნი მშვიდობიანი და ღარიბშემოსავლიანი საქმიანობით — მეთევზეობით ირჩენენ თავს. ისინი ცხოვრობენ გაუგონარ სიღატაკეში, უწიგნურობაში. ოთხი საუკუნის გადატანის მიუხედავად, ჟამთასვლისაგან მივიწყებულებმა შეინარჩუნეს მთლიანობა, როგორც ცალკე საზოგადოებრივმა ერთეულმა. ეს ხალხი ლაპარაკობს ენაზე, რომელიც მათ გარდა არავის ესმის. მათი ენა შუა საუკუნეების პორტუგალიურის, მალაიზიურის და ჰოლანდიური ენების რაღაც ნარევია. პორტუგალიელების შთამომავალნი ისლამურ მალაიზიაში ქრისტიანებად დარჩნენ და მალაკაში მათი წინაპრების მიერ ოდესღაც აშენებული ეკლესიების ნანგრევებს წმინდა ადგილებად თვლიან. გარესამყაროს უკავშირდებიან მხოლოდ თევზის ბაზარზე.

მონოტონურ, უსიცოცხლო ცხოვრებას თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აფერადებს საღამოები, როცა ახალგაზრდობა გიტარებით ზღვის სანაპიროზე იკრიბება. გოგონები კალთაგანიერი ჭრელი ქვედაკაბებით, ჯიმჯიმების ჟღარუნით და არააზიური ტემპერამენტით თავბრუდამხვევად ცეკვავენ, ხოლო ჭაბუკები ქვეყნისაგან მივიწყებულ სიმღერებს მღერიან გულადი რაინდისა და მზეთუნახავი პრინცესას სიყვარულის შესახებ. ამ საღამოებში იმ ძაფის დაჭერა შეიძლება, რომელიც ღარიბ მეთევზეებს მალაკის დამპყრობლებთან აკავშირებს.

და კიდევ ამ დასახლებისათვის ერთი მართლაც დამახასიათებელი თავისებურება — აქ თითქმის არავინ არ ატარებს საათს. პორტუგალიელების ათასხუთას შთამომავალს საათი არ სჭირდება. მათი ცხოვრება ერთადერთ რიტმს ემორჩილება — ზღვის მიქცევა-მოქცევის მარადიულ მონაცვლეობას.

**ს. ბიჩკოვი,**
საქდესის კორ.

# მკვლევარის ღვაწლი

მ. ალავიძის დაბადებიდან 60 წლისთავის გამო

[illegible]

...სტიტუტის სტუდენტი იყო მ. ალავიძე, როცა სამეცნიერო მუშაობაში ჩაება: თავისი მშობლიური ლეჩხუმის სოფლებში შეკრიბა და განმარტა რამდენიმე ასეული დიალექტური სიტყვა, რისთვისაც ინსტიტუტის დირექციის მადლობა და ფულადი ჯილდო დაიმსახურა. მეოთხე კურსის სტუდენტის პირველი საენათმეცნიერო ნაშრომი „ლეჩხუმური ლექსიკონი" ორ სხვა დიალექტიკურ ლექსიკონთან ერთად 1938 წელს ცალკე წიგნად გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა (პროფ. ვ. თოფურიას რედაქციით).

სტუდენტობის წლებშივე შეუდგა მ. ალავიძე ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისა და ეთნოგრაფიული მასალების შეკრებას. ეს მასალა „ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერების" სახელწოდებით ცალკე წიგნად გამოიცა 1951 წელს (დ. შენგელიას რედაქციით).

ორივე ზემოხსენებულმა წიგნმა სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მაღალი შეფასება, რომელიც აკადემიკოსმა კ. გამსახურდიამ მისცა „ლეჩხუმურ ლექსიკონს". მან ამ ლექსიკონში მოთავსებული არაერთი სიტყვა ქართულ სალიტერატურო ენისათვის საჭიროდ და გამოსადეგად მიიჩნია. მართლაც, მ. ალავიძის მიერ მოპოვებული ბევრი ლექსიკური ერთეული შესულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

ლეჩხუმურ დიალექტს მიეძღვნა მ. ალავიძის საკანდიდატო დისერტაცია. მკვლევარი შემდგომშიც განაგრძობს მუშაობას ამ მიმართულებით. შეიძლება ითქვას, მისმა ნაშრომებმა საკუთარი ადგილი მოუჩინა ლეჩხუმურს ქართულ კილოთა შორის.

მეცნიერის დამსახურებაა აგრეთვე საბას ლექსიკონის დიალექტურ წყაროთა ძიება და მასში დასავლური დიალექტური მასალის გამოყოფა, დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებათა ლექსი... [illegible] ...ცნობილ იერუსალიმურ პორტრეტზე, გარდაცვლილა მურის ციხეში და დაუკრძალავთ მურისავე მოედანზე, ლეჩხუმში.

მკითხველი საზოგადოებრიობა მოწონებით შეხვდა მ. ალავიძის წიგნს „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", რომელმაც შეავსო თავის დროზე ლადო ბზვანელის ანალოგიური წიგნი.

ვაჟკაცურად ემსახურა მ. ალავიძე „ჭაბუკებად დარჩენილ" თანატოლ პოეტებს — ლადო ასათიანსა და სევერიან ისიანს, გააცოცხლა მათი ცხოვრების საინტერესო მომენტები. მანვე დიდი ამაგი დასდო უდროოდ გარდაცვლილ ენათმეცნიერს ქეთევან ძოწენიძეს: აკად. არნ. ჩიქობავასთან ერთად გამოსცა მისი კაპიტალური მონოგრაფია ზემოიმერული კილოკავის შესახებ და მისივე „ზემოიმერული ლექსიკონი".

მ. ალავიძე ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში 1938 წლიდან კითხულობს ქართული ენის გრამატიკის, სტილისტიკისა და დიალექტოლოგიის კურსებს. მისი ლექციები და საჯარო გამოსვლები აღბეჭდილია ორატორული ხელოვნებით.

ცნობილ მკვლევარსა და შემოქმედს ახლახან 60 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით იუბილარმა გულთბილი მილოცვები მიიღო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოსა, კრიტიკის საბჭოსა და ქართული ლიტერატურის საბჭოსაგან და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისაგან.

მიხეილ ალავიძე შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში იმყოფება. იგი კვლავაც ჭაბუკური გულით ცხოვრობს და თავდადებულად იღწვის.

**შ. ძიძიგური,**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

**ზ. ჭუმბურიძე,**
პროფესორი.

## სანამ ზარი დაირეკება



[illegible]

რკინიგზელთა სახლი, პლეხანოვის პროსპექტზე უჩვეულოდ გამოიყურება. მის წინ გაზონებთან და შენობის შესასვლელში სახელდახელო დახლები გაუმართავთ. რა გინდა, სული და გული... ოღონდ, მხოლოდ მოსწავლეებისა და მშობლების გულისგასახარი. დედები ბავშვებს უწყრებიან, ახლა შიგნით შევიდეთო, ისინი კი სასიამოვნო მუსიკას მოუჯადოებია და ფეხს არ იცვლიან, გეგონებათ, ნაბიჯს გადადგამენ თუ არა, „მზიურის" გოგონები დადუმდებიანო.

შიგნით, ლამაზად მორთულ დარბაზში განყოფილებების მიხედვით აბრები გამოუკრავთ: „ცენტრალური უნივერმაღი", „თბილმრეწვავაჭრობა", „თბილფეხსაცმელვაჭრობა", „თბილტანსაცმელვაჭრობა" და „ბავშვთა სამყარო". ეს იმ ორგანიზაციათა სახელებია, რომლებიც აქ გამართულ სასკოლო ბაზრობაში მონაწილეობენ.

მოახლოვდა 1 სექტემბერი. გავა ექვსიოდე დღე და აწკრიალდება ახალი სასწავლო წლის დაწყების მაცნე ზარი. დასვენებული, გალაღებული მოსწავლეები მერხებს მიუსხდებიან, ზოგი ვინ იცის მერამდენედ, ზოგიც პირველად, მოკრძალებით.

სასკოლო გამოფენა-ბაზრობები თბილისის გარდა გამართეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროებმა, აგრეთვე საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოებმა.

თბილისში სასკოლო ნივთებითა და საბავშვო ასორტიმენტის საქონლით ვაჭრობა „ბა... [illegible] ...მოსწავლეებს რვეულებით, სასკოლო დღიურებითა და სასკოლო ნივთებით გატენილი ზურგ... [illegible]

# ყველაფერი მოსწავლეთათვის

რეპორტაჟი სასკოლო ბაზრობიდან

...ჩანთები მოუგდიათ და ახლა ტანსაცმლისკენ გაურბით თვალი, ზოგიც იხვეწება, მოსწავლის საზაფხულო ფორმიდან მარტო შარვალი მინდაო, ზოგი მარტო პერანგს მოითხოვს, ნოქარი კი არ ანებებს, ცალ-ცალკე არ იყიდებაო.

რკინიგზელთა სახლში მოწყობილი სასკოლო ბაზრობის დირექტორმა ვენერა კორძახიშვილმაც გულისტკენით შემოგვჩივლა, სამწუხაროდ, წარმოებიდან საქონელი თითო კომპლექტად მოდის, ეს იმას ნიშნავს, რომ ცალკ-ცალკე გაყიდვა არ შეიძლება, ფასები კი პერანგებს, კაბებსა და შარვლებს ცალკ-ცალკე ადევს, მომხმარებელიც ამის მიხედვით მოითხოვს. ჩვენც იძულებული ვართ ეს კანონი ხშირად მომხმარებელთა სასარგებლოდ დავარღვიოთო.

ბაზრობა 15 აგვისტოს გაიხსნა და 15 სექტემბრამდე გასტანს.

ბაზრობაში მონაწილე „საქ... [illegible] ...ქისთვის ფორმის ... ... თხულობდა რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავად... [illegible] ...მყოფის ქირურგი ვ. გვაზავა. მისი თხოვნა გამყიდველმა საგანგებო რვეულში ჩაიწერა, რომელსაც საღამოს დირექტორს წარუდგენს და იმის მიხედვით, თუ რომელ სექციაში მომხმარებლებმა რა საქონელი მოითხოვეს — იგი შესაბამისად გამოიწერს და მეორე დღეს ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნება.

დახლებსა და თაროებზე კი ჩვიდმეტივე სახის რვეული, საწერი იქნება ეს თუ სახატავი, მოსწავლის დღიურები, ფაიფურის სამელნეები, სახაზავები, ჩანთები, ყელსახვევები, ფერადი ფანქრები ისე აწყვია თითქოს მათთვის ხელი ჯერ არავის უხლიაო, რადგან, როცა იყიდება, ყველაფერი დროის განუსაზღვრელად მოაქვთ.

პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სახლის წინ სასკოლო ბაზრობა 20 აგვისტოს... [illegible] ...თა თვალის და გულის ... ხლებზე სექტემბრამდე უნდა გამოჩნდეს.

მაგრამ აი გუშინ კვლავ დავიარეთ სასკოლო ბაზრობის ობიექტები და, რკინიგზელთა სახლის გარდა, სულ სხვა სურათი დაგვხვდა. უნივერმაღ „თბილისის" შესასვლელთან მშობლები და მოსწავლეები ამაოდ ელოდნენ რვეულებსა და დღიურებს, არც ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იყო უხვად გამოფენილი. მოსწავლის ჩანთები კი იყიდებოდა. აქ, ბაზრობის გახსნის დღიდან მხოლოდ 300 ათასი ცალი რვეული და 7.000 დღიური გაუყიდიათ. საწყობის გამგემ და მისმა მოადგილემ თვითონვე შენიშნეს — ეს ზღვაში წვეთიაო. მათვე თქვეს, რვეულებს და დღიურებს ზუგდიდიდან ასე, 1 სექტემბრისათვის გამოგვიგზავნიანო. პირველში კი უკვე სწავლა იწყება!...

გ. ტაბიძის ქუჩაზე გავლისას ვეღარც კი მიხვდებით, თუ ეს გამოფენა-ბაზრობა სასკოლოა. აქ ფეხსაცმელი და ტანსაცმელი იყიდება, სასკოლო კი მხოლოდ ტუშითა და სახატავი რვეულებით არის წარმოდგენილი.

პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სახლის წინ ადრე გამართული სასკოლო ბაზრობა სულაც არ დაგვხვდა.

სექტემბრამდე მხოლოდ რამდენიმე დღე დარჩა. იქნებ, რამენაირად მოგვარდეს ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე. ურვეულოდ, უდღიუროდ ხომ ვერ წავა მოსწავლე სკოლაში!

**გ. დურგლიშვილი.**

• • •

სურათზე: სასკოლო ბაზრობაზე დედაქალაქში.

გ. სანაიას ფოტო.

## მჟად არიან

**უკანასკნელ** წლებში კასპის რაიონში ბევრი რამ გაკეთდა სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის — საექსპლოატაციოდ გადაეცა ტიპობრივი პროექტებით აშენებული სასკოლო შენობები დოესში, ქვემო ჭალაში, სასირეთსა და სხვა სოფლებში. ახალი ბაგა-ბაღი აშენდა კასპში, საცხოვრებელი სახლი მასწავლებლებისათვის — სოფელ ხვითში, ბევრ სკოლას შეემატა ახალი საკლასო ოთახები, კაბინეტები, ლაბორატორიები.

კაპიტალურად შეკეთდა კასპის პირველი, მეორე, მესამე სკოლები, ზემო ხანდაკის, წითელწყაროს, ახალქალაქის, იგოეთის, კავთისხევის, ოკამის, ერთაწმინდის, ხიდისყურის საშუალო და რვაწლიანი სკოლები. მიმდინარე რემონტი ჩაუტარდა ყველა სკოლას.

კავთისხევის საშუალო და ხიდისყურის რვაწლიან სკოლებს მიაშენეს ახალი საკლასო ოთახები.

(საქინფორმი).

## სვანეთის მუზეუმში

**პარტიის** მესტიის რაიონულმა კომიტეტმა და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა მოაწყეს სამეცნიერო კონფერენცია — „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები და მუზეუმის ამოცანები", რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. სარალიძემ. მუზეუმის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ჩარკვიანმა წაიკითხა მოხსენება — „მუზეუმის როლი და ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულების საქმეში"; „საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი ექსპოზიცია მესტიის მუზეუმში" — ასეთი იყო მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლის ნ. გელაშვილის მოხსენება; „მუზეუმი მშრომელთა პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდის სამსახურში" — ამაზე ილაპარაკა მეცნიერმა თანამშრომელმა მ. მარგიანმა; მუზეუმსა და რაიონში დაცულ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებზე და მათ მნიშვნელობაზე მოხსენება წაიკითხა მეცნიერმა თანამშრომელმა შ. შუკვანმა.

**დ. ცინცაძე.**

## მკითხველი გვატყობინებს

□ **ხაჩხერი.** ვ. ი. ლენინის ქუჩაზე ახალი გასტრონომიული მაღაზია გაიხსნა. ლამაზად გაფორმებული სექციები: ხორცის, თევზის, სასურსათო და საკონდიტრო განყოფილებები თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი.

თვითმომსახურების მაღაზია გვიანობამდე მუშაობს. ის კარგ მომსახურებას უწევს მომხმარებელს.

**ა. ანასაშვილი.**

● **დუშეთი.** არაგვისპირეთის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — 100-ნომრიანი სატელეფონო სადგური. მალე ასეთივე სადგურები დაიდგმება ჭოპორტსა და მჭადიჯვარში.

**ლ. ხოსროშვილი.**

□ **ზუგდიდი.** დღითიდღე იზრდება და ლამაზდება ფაიფურის ქარხნის დასახლების უბანი. ახლახან აქ 350-ბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა, პატარებისათვის კი საბავშვო ბაღის ახალი შენობა. აქვე გაიხსნა ახალი სასურსათო მაღაზია, რომელიც ხორცისა და რძის ნაწარმით, სასურსათო საქონლით და თევზეულით ვაჭრობს.

**ბ. ალშიბაია.**

● **სოხუმი.** ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადისათვის აშენდა და უკვე საექსპლოატაციოდ გადაეცა თამბაქოს საშრობი ფარდულები. ახლა ბრიგადას გეგმის შესრულებისათვის ყველა პირობა აქვს შექმნილი.

**ხ. საჯაია.**

□ **ლენინგორი.** კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივმა რაიონის მშრომელებს უჩვენა ორი ვოდევილი: ნ. ხუნწარიას „სასიძო და საპატარძლო" და ა. ცაგარლის „ოინბაზი".

**ა. როსტიაშვილი.**

□ **ამბროლაური.** ჭყვიშის საბჭოთა სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ავტომატური სატელეფონო სადგური დამონტაჟდა. მალე ასეთი სატელეფონო სადგური სოფელ წესშიც აიგება.

**აკ. კერესელიძე.**

საქართველოს მთა-ბარი



## ტურისტული ბილიკებით

მაღალ მთებში წარმტაც ფიჭვნარში გაფანტულა „სამხრეთის თავშესაფარის" პატარ-პატარა სახლები. აქ ასობით ტურისტი ათევს ღამეს და შემდეგ კვლავ გაუდგება გზას შავი ზღვის ლაჟვარდოვანი ნაპირებისაკენ, სოხუმისაკენ.

ივნის-ოქტომბრის სეზონში 10 ათასზე მეტი ტურისტი ეწვევა ხოლმე აქაურობას, ჩამოდიან წარმტაცი სამთო ლაშქრობების მოყვარული საზღვარგარეთელი სტუმრებიც.

სურათებზე: „სამხრეთის თავშესაფარის" ერთ-ერთი კუთხე 1.360 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან; ტურისტები — კურგანელი და კალუგელი ახალგაზრდები პირველად არიან „სამხრეთის თავშესაფარში".

ი. ჯოხონელიძის ფოტო (საქინფორმი).



## რევოლუციის პოეტს მიეძღვნა

**დიდი** საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 83-ე წლისთავს მიეძღვნა ლიტერატურულ-მხატვრული საღამო „მთელი ხმით", რომელიც მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის კულტურის სასახლეში გაიმართა. საღამო მოაწყეს ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელმწიფო მუზეუმმა და რსფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის ორგანიზაციამ. გარდა მოსკოველი პოეტებისა და ლიტერატორებისა, მოწვეული იყვნენ სტუმრები სხვა ქალაქებიდან და რესპუბლიკებიდან. მათ შორის საქართველოდან — ირაკლი აბაშიძე, კარლო კალაძე და პოეტი-მთარგმნელი, მაიაკოვსკის შემოქმედების მკვლევარი გიორგი ლაფერაშვილი.

საღამოს წინ უსწრებდა ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელმწიფო მუზეუმში ჩატარებული მოგონებათა საღამო. ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელმწიფო მუზეუმმა მოაწყო აგრეთვე გამოსული მწერლებისა და ლიტერატორების ცოცხალი სიტყვის ჩაწერა ფირზე. ეს ჩანაწერები ფართოდ გამოყენებული იქნება მუზეუმის ფილიალებში და მოსკოვის სამრეწველო წარმოებებში ლიტერატურული საღამოების დროს. („კომ." კორ.).

## ექიმები—მინდვრად

**აბაშა.** (საკ. კორ. ბ. მილიუტინი). სოფლად ახლა დაძაბული შრომითი დღეებია. დიდი და პატარა მინდვრებსა და პლანტაციებშია გაკრეფილი. რაიონის მედიცინის მუშაკები მშრომელებს უშუალოდ თავიანთ სამუშაო ადგილებზე უწევენ დახმარებას.

ამ დღეებში რაიონული პოლიკლინიკის გამგე მ. ნამიჩეიშვილი, თერაპევტი გ. თოფურია, ქირურგი ზ. მერაბიშვილი, ექიმის თანაშემწეები თ. კაჭარავა და ც. სოხაძე მდინარე რიონის გაღმა მასივ „ანჯერში" მომუშავე კოლმეურნეებს ეწვივნენ. სპეციალისტებმა პაციენტებს ადგილზე აღმოუჩინეს საჭირო სამედიცინო დახმარება.

## ჩაი—საექსპორტოდ

**ქობულეთი.** (საკ. კორ. მ. გორგილაძე). ქართულ ჩაიზე ფართო მოთხოვნილებაა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ. ქობულეთის რაიონიდან პოლონეთსა და უნგრეთში ყოველწლიურად დიდი რაოდენობის მზა პროდუქცია იგზავნება. წლეულს მარტო აჭყვის ჩაის ფაბრიკამ პოლონეთში საექსპორტოდ 100 ტონამდე მაღალხარისხოვანი ჩაი გაგზავნა.

## ჟურნალების ახალი ნომრები

### „საქართველოს აგიტატორი" № 16

**გამოვიდა** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" მორიგი, მეთექვსმეტე ნომერი.

### „საბჭოთა მედიცინა" № 4

**გამოვიდა** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიურ ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის" მორიგი, მეოთხე ნომერი.

## ტელევიზია

### 26 აგვისტო

**პირველი პროგრამით**

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — დოკუმენტური ფილმი „ნიჟარა სავარცხელა", 11.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი ფერადი მხატვრული ფილმი „მემკვიდრეები". IV სერია. (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.25 — პოპულარული კლასიკური მუსიკის კონცერტი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — ბავშვებისათვის სატელევიზიო ფერადი მხატვრული ფილმი „ზებრა მოიპარეს" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 — ფერადი კინონარკვევი „მამისეული ტყე", 18.35 — „ადამიანი და გარემო", 19.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), შესვენების დროს გადაცემა „ნამიბია. ბრძოლა გრძელდება", 21.15 — საესტრადო კონცერტი, 21.45 — ნახატი ფილმი უფროსებისათვის, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო მრავალსერიიანი ფერადი მხატვრული ფილმი „მემკვიდრეები" (V სერია). პრემიერა. (ვიდეოჩანაწერი).

**მეორე პროგრამით**

18.05 — დოკუმენტური ფილმი „გუთნის დედა ივანე ივანეს-ძე ივანოვი", 18.45 — განცხადებები, 18.50 — ფერადი მხატვრული ფილმი „ტისაზე".

## რადიო

### 27 აგვისტო

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — სიმფონიური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ბრაზილიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის კონცერტი, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ვ. ოვჩინიკოვი. პირველი სიმფონია, 11.45 — საუბარი „სახალხო კონტროლი სახელმწიფო, სამეურნეო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში", 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ჯ. ჩარკვიანის ლექსები, 12.30 — ი. ბრამსი. უნგრული ცეკვები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — საორკესტრო ფანტაზია ა. ოსტროვსკის სიმღერების თემებზე, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 14.00 — ს. რახმანინოვი. მესამე სიმფონია და რაფსოდია პაგანინის თემაზე, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება" — უკრავს რ. გვასალია, 17.40 — მოსწავლეთათვის. დოკუმენტური მოთხრობა „ნარინჯის ველი", 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ვ. სოლოვიოვ-სედოი. სიმღერები, 19.00 — „კვების მშენებარე ობიექტები — მწყობრში", რეიდის მასალები, 19.15 — ა. ბუკია. ნაწყვეტები ოპერიდან „ყვავილთა სამყაროში", 20.30 — რადიოჟურნალი „თქვენთვის, ცნობისმოყვარეებო!", 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — ფ. შოპენი. პირველი საფორტეპიანო კონცერტი, 21.50 — ძ. კინოსიტა. „წეროს ფრთები". რადიოდადგმა, 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ფეხბურთი

# ოთხი მატჩი

**დღეს** ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართება „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ოთხი მატჩი.

ვოროშილოვგრადში „ზარია" უმასპინძლებს ერევნის „არარატს", კუიბიშევში „კრილია სოვეტოვი" — დონეცკის „შახტიორს", ლენინგრადში „ზენიტი" — მოსკოვის „ლოკომოტივს".

თბილისის „დინამო" დღეს თავისთან იღებს დნეპროპეტროვსკის „დნეპრს". ამ გუნდების წინა ჩემპიონატის მატჩი, რომელიც ასევე თბილისში გაიმართა, მოიგეს დინამოელებმა — 4:1. მეტოქენი საკავშირო ჩემპიონატებში სულ 9-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: 4 მატჩი მოიგო „დინამომ", 1 — „დნეპრმა", 4 ფრედ დამთავრდა, ბურთების სხვაობაა 12-3.

## დუბლიორთა ასპარეზობა

**გუშინ** თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი.

წინა ჩემპიონატში ქართველმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. ასეთივე შედეგი მასპინძელთა სასარგებლოდ იყო ფიქსირებული გუშინდელ მატჩშიც. ბურთები გაიტანეს წერეთელმა, დვალიშვილმა, მინაშვილმა და დნეპროპეტროვსკელმა მარუსინმა.

დინამოელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ: გაგოშიძე (იმნაძე), ებანოიძე, ჭილაია, მელიქია, ბაზაზაშვილი, მინაშვილი, გ. მაჩაიძე, მუმლაძე (ნანბა), ესებუა, დვალიშვილი, წერეთელი.

## მეორე ლიგაში

**გაიმართა** მეორე ლიგის პირველი ზონის საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. მოგვყავს მათი შედეგები ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით: ზუგდიდის „დინამო"-ერევნის სკიფ-ი — 1:0; ბათუმის „დინამო"-ბაქოს „ავტომობილისტი" — 3:1; რუსთავის „მეტალურგი"-კლაიპედის „ატლანტასი" — 1:0; ჭიათურის „მაღაროელი"-სამტრედიის „ლოკომოტივი" — 0:1.

## გადამწყვეტი ბრძოლის წინ

**ყაზანში** მიმდინარეობს ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი „ტყავის ბურთის" პრიზზე. დაუმარცხებელი დარჩა ორი გუნდი — ერევნის „არარატი" და წყალტუბოს „ავრორა", რომლებიც ახლა ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. სომეხმა ფეხბურთელებმა ნახევარფინალში დაამარცხეს მოსკოვის „ჩაიკა" — 5:0, ხოლო წყალტუბოელებმა — გროდნოს „ფაკელი" (ძირითადი დრო — 1:1, პენალტები — 5:4).

## ურუგვაელთა გადაწყვეტილება

**მონტევიდეოში** გამოცხადდა, რომ ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ქვეყნის 50 საუკეთესო ფეხბურთელს (გაზეთები აქვეყნებენ მათ სიას) 1978 წლის მიწურულამდე ეკრძალება უცხოეთში წასვლა და იქაურ კლუბებში თამაში.

ურუგვაელთა ეს გადაწყვეტილება იმით აიხსნება, რომ წარსულში სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატების წინ გუნდის საუკეთესო მოთამაშეები უცხოეთში გადაბარგდნენ, რამაც ძალზე უარყოფითად იმოქმედა ნაკრების შედეგებზე.

## „სპორტლოტო"

**„სპორტლოტოსა"** და „სპორტლოტო — 2"-ის მოსკოვში 25 აგვისტოს გამართული 34-ე ტირაჟის შედეგები:

**„სპორტლოტო"** — 3 (აკრობატიკა), 43 (ფარიკაობა), 15 (წყალბურთი), 20 (ნიჩბოსნობა-ბაიდარები და კანოე), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 30 (საიალქნო სპორტი).

**„სპორტლოტო — 2"** — 4 (მთამსვლელობა), 2 (ავტოსპორტი), 16 (ტანვარჯიში), 18 (ქალაქობიანობა), 9 (ჭიდაობა), 33 (რეგბი).

ჭადრაკი

# ა. კარპოვი პირველია

**ესპანეთის** ქალაქ მონტილიაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა. მორიგ ტურში მან ყაიმით დაამთავრა პარტია მაიკლ სტინთან (ინგლისი), მოაგროვა 6,5 ქულა და ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. მის უახლოეს მეტოქეებს — სტინს, რიკარდო კალვოს (ესპანეთი) და ლიუბომირ კავალეკს (აშშ), რომელსაც ა. კარპოვი ბოლო ტურში ხვდება, ერთქულანახევრით ნაკლები აქვთ.

## ნ. იოსელიანი — ფინალში

**ტოლიატში** ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალური ტურნირის მეთოთხმეტე ტურში ოსტატობის კანდიდატმა ნ. იოსელიანმა მოუგო ნ. კრუსიაუსს (ტალინი) და როგორც უნდა დამთავრდეს მისი პარტია ბოლო ტურში, უკვე გავიდა ფინალში. გარდა ამისა, ნ. იოსელიანმა შეასრულა ოსტატის წოდების მიღებისათვის საჭირო ნორმა.

თ. ხუგაშვილმა მოუგო ლ. ინიუტინას (დუშანბე), ი. გრინფელდმა (კალინინგრადი)—ვ. კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი), ტ. ფოკინამ (ალმა-ათა) — ე. მიხაილოვას (ლენინგრადი). ყაიმით დამთავრდა ტ. ვორონოვა (მოსკოვი)-ა. დუდკოვას (ხარკოვი) პარტია.

**დიდოსტატი ე. გუფელდი**
(ტელეფონით).

## პოლიანიცა—ზდრუეს ტურნირზე

**პოლონეთის** ქალაქ პოლიანიცა-ზდრუეში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი. გამარჯვებულის პრიზი და ამასთან ერთად საერთაშორისო ოსტატის მეორე ბალი მიიღო ნოვოსიბირსკელმა გენადი ტიმოშჩენკომ — 9,5 ქულა.

გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა სამი მოჭადრაკე, რომელთა შორის არის მოსკოველი დიდოსტატი იური ავერბახი.

თბილისელმა თამაზ გიორგაძემ 7 ქულა მოაგროვა და მერვე-მეათე ადგილები გაიყო.

## მოკლედ

**ჰოკეი.** როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ნაკრები ემზადება კანადის ტურნესათვის. მან გამგზავრების წინ ერთ-ერთი უკანასკნელი მატჩი გამართა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან მოსკოვის „სპარტაკთან". ანგარიშით 8:4 (2:2, 2:1, 4:1) გაიმარჯვა ნაკრებმა.

**ფიგურული სრიალი.** დასავლეთ გერმანიის ქალაქ ობერსტდორფში გაიმართა 14 ქვეყნის ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. სპორტულ ცეკვებში საუკეთესო იყო მოსკოველთა წყვილი — მარინა ზუევა და ანდრეი ვიტმანი.

**ფეხბურთი.** ბარსელონას საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში ცსკა-მ წააგო მაინის ფრანკფურტის „აინტრახტთან" — 3:5 (0:3). ბურთები არმიელთაგან გაიტანეს კოლპოვსკიმ, ჩესნოკოვმა და შალნევმა. მეორე ნახევარფინალში „ბარსელონამ", რომელშიც თამაშობს კრუიფი, მოუგო პრაღის „სპარტას" — 2:1 (0:1).

რედაქტორის მოადგილე
**გ. გოგიაშვილი.**

## თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი



(ი. ჭავჭავაძის პროსპ., 74)

### ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასის უმაღლესი ლიგა

26 აგვისტო

ძირითადი შემადგენლობანი

„დინამო" (თბილისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი).

დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე.

ბილეთების საერთო გაყიდვა სტადიონის სალაროებში 26 აგვისტოს 10 საათიდან.

კომუნისტი

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-08-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოს — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უ 13980

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14